# ხაშურის მოამბე

№36-39(317-320) 19 ნოემბერი, პარასკევი, 2021 წელი


საჯაროობა დღევანდელი ხელისუფლების ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტე-ტის მერია ნებისმიერ დოკუმენტს-იქნება ეს დადგენილება თუ რომელიმე ნორმატიული აქტი, საჯაროდ აცნობს რაიონის მოსახლეობას. ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურმა დაამთავრა მუშაობა 2022 წლის რაიონის მთავარ საფინანსო დოკუმენტზე და დღეს ჩენი მკითხველი და ფართო საზოგადოება თვითონ გაეცნობა მის პროექტს, დღეიდან, ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა გამოთქვას თავისი შენიშვნები და წინადადებები რაიონის ბიუჯექტის შესახებ. ნებისმიერი შენიშვნა და წინადადება კი მათ უნდა მიაწოდონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 დეკემბრამდე.

## განმარტებითი ბარათი

## ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ

,,ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ'' დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2022 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' $155^1$ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი პროექტით, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 21303.1 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 21303.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც, 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 3826,9 ათასი ლარით (17,96%). შემოსულობების დაგეგმვა განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 14 ივლისის N04-03/89431 წერილის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების კერძოდ – რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2022 წლისათვის მოსალოდნელია - 6.3%, ხოლო მომდევნო 2023-2025 წლებში - 5,5%-ის ფარგლებში; – მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი ნომინალურ გამოხატულებაში 2022 წლისათვის შეადგენს 63 541.3 მლნ ლარს; საშუალო წლიური ინფლაცია 2022-2025 წლებისათვის პროგნოზირებულია 3.1%-ის ოდენობით; მაკროეკონომიკური პროგნოზების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 05 ოქტომბრის N04-03/121064 წერილის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 10 ნოემბრის N04-03/134622 წერილის ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის საფუძველზე განახლებული ფისკალური პროგნოზების და 2021 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით

<u>2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:</u>

- დამატებითი ღირებულების გადასახადიდან 2022 წლის პროგნოზირებული (გასანაწილებელი დღგ-ს 1,32%) ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წელს მიიმართება და ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 16655,2 ათას ლარს (2021 წელი დაზუსტებული ბიუჯეტით 14363,7 ათასი ლარი მატება - 13,8%). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით (10,8%) ;
- ქონების გადასახადიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 500,0 ათასი ლარით (2021 წელი 2300,0 მატება - 8%). აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის ბიუჯეტის გადასახადები სულ (ქონების გადასახადი და დამატებითი ღირებულების გადასახადი) დაგეგმილია 19155,2 ათასი ლარით, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 2491,5 ათასი ლარით (13%). (გადასახადის ადმინისტრირება - საქართველოს ფინანსთა სამინინისტროს შემოსავლების სამსახური).

<u>2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:</u>

- გრანტების სახით დაგეგმილი ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 250,0 ათასი ლარით.

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 25,0 ათასი ლარით (10%)

<u>სხვა შემოსავლები განისაზღვრა -1 597,9 ათასი ლარით,</u>

- <u>შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 250,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:</u>
  - ✓ რენტა 240,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი იჯარიდან 10,0 ათასი ლარი;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით არ შეცვლილა.

- <u>შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 290,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:</u>
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 50,0 ათასი ლარი;
  - ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,4 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 200,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 40,0 ათასი ლარი;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით არ შეცვლილა.

- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1057,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ <u>შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 1037,5 ათასი ლარი;</u>
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 20,0 ათასი ლარი;

თანხა 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 100,0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია გაზრდილი დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების რაოდენობით, რაც ქმნის მეტი კონტროლის მექნიზმს და შესაბამისად, ზრდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევიდან შემოსულობებს.

ხოლო არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი პრივატიზაციიდან) – 300,0 ათასი ლარით, იგეგმება პრივატიზაცია.

შესაბამისად, 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების სიდიდე (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება) განსაზღვრულია 21303,1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გასული წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მაჩვენებლთან შედარებით გაზრდილია 3826,9 ათასი ლარით (17,9%).

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურება _ 2366,3 ათასი ლარი;
საქონელი და მომსახურება _ 2292,8 ათასი ლარი;
პროცენტი _ 504,2 ათასი ლარი;
სუბსიდიები _7390,2 ათასი ლარი;
გრანტები - 177,9 ათასი ლარი;
სოციალური უზრუნველყოფა _ 799.8 ათასი ლარი;
სხვა ხარჯები _ 736,8 ათასი ლარი;
არაფინანსური აქტივების ზრდა _ 6774,0 ათასი ლარი;
ვალდებულების კლება - 261,1 ათასი ლარი.

2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია რიგი პროგრამებისა და ღონისძიებების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი, კერძოდ 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა დასუფთავების რიგი კატეგორიის თანამშრომელთა ხელფასების, ბავშვთა კვების პროდუქტების და სხვა კომუნალური და მოვლა-შენახვის ხარჯების ზრდა, ამდენად მუნიციპალური პროგრამული დაფინანსება შეადგენს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 287,8 ათასი ლარი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქუჩების განათების სისტემების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად - 307,7 ათასი ლარი,

დასუფთავების ღონისძიებების დასაფინანსებლად - 1045,2 ათასი ლარი,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 97,8 ათასი ლარი,

ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობისათვის

პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია - 57,8 ათასი ლარი,

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციისათვის - 177,9 ათასი ლარი,

გამწვანების და მწვანე ნარგაობების მოვლა-შენახვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის დასაფინანსებლად - 270,9 ათასი ლარი.

გაზრდილია ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დაფინანსება. პროგრამა ვრცელდება 18 საბავშვო ბაღზე, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1956 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ფლევი, ბიჯნისი, წაღვლი,) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირება. სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად, 2021 წლის ბიუჯეტში, გათვალისწინებულია 2893,0 ათასი ლარი, რაც განპირობებულია შრომის ანაზღაურების და შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით ხარჯების ზრდით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 327,0 ათასი ლარი, პროგრამას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები და სასწავლო პროცესს გადის 478 მოსწავლე, მოსწავლეები გათავისუფლდა გასული 2021 წლიდან ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელისაგან რომელთა სწავლის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტით. პროგრამით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სამივე სამუსიკო სკოლის ელექტროენერგიის, გათბობის ხარჯის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, 667,0 ათასი ლარით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1351 ბავშვი, ხარჯების ზრდა განპირობებულია ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით და მწვრთნელების შრომის ანაზღაურების და შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით ხარჯების ზრდით.

2022 წლის ბიუჯეტით სპორტული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანებლად გათვალისწინებულია 290,0 ათასი ლარი, კულტურული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანებლად - 155,5 ათასი ლარი, ხოლო ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანებლად - 38,5 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტით, დაფინანსდება, აგრეთვე, მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 218,6 ათასი ლარით, ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 192,5 ათასი ლარით, კულტურის ცენტრების ხელშეწყობის პროგრამა - 358,4 ათასი ლარით, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა - 45,9 ათასი ლარით, ხოლო რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდება 130,0 ათასი ლარით.

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან, 2022 წლის ბიუჯეტით, დაგეგმილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება 142,0 ათასი ლარით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა დაფინანსება - 103,0 ათასი ლარით და სარიტუალო მომსახურება - 5,0 ათასი ლარით.

დაგეგმილია, აგრეთვე, სოციალური პროგრამების დაფინანსება, რისთვისაც 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1022,0 ათასი ლარი, კერძოდ:

უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა დაფინანსდება 150,0 ათასი ლარით;

ასი და მეტი წლის უხუცესთა ერთჯერადი დახმარებები - 2,0 ათასი ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 38,2 ათასი ლარით;

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები - 20,6 ათასი ლარით;

საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები - 30,0 ათასი ლარით;

სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 5,0 ათასი ლარით;

კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა - 24,0 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების მიზნით გათვალისწინებულია 752,2 ათასი ლარი;

<u>პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:</u>

<u>ინფრასტრუქტურის განვითარება თანხით 6622,3 ათასი ლარი</u>

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 4649,6 ათასი ლარი;

2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ქუჩების მოასფალტება კერძოდ 1. დაბა სურამში, ზაიანთხევის დასახლებაში, ბეტონის გზის მოწყობა. მთლიანი პროექტის ღირებულება 1 189,0 ათასი ლარი. (1600 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 1200. ბენეფიციარი. 2. სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის მოასფალტება მთლიანი პროექტის ღირებულება 1 040,7 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტი გამოცხადდება 2023 წელში გარდამავლად 2022 წელს ასათვისებელი თანხა 600,0 ათასი ლარი (17000 გრძ/.მეტრი) ისარგებლებს 500 ბენეფიციარი. 3. სოფელ ტეზერში ბეტონის გზის დაგება მთლიანი პროექტის ღირებულება 1 649, 8 ათასი ლარი აღნიშნული პროექტი გამოცხადდება 2023 წელში გარდამავლად, 2022 წელს ასათვისებელი თანხა 1 000,0 ათასი ლარი, (2400 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 800 ბენეფიციარი. 4. სოფელ დიდ და პატარა სატივეში მისასვლელი გზის მოასფალტება მთლიანი პროექტის ღირებულება 2 375.0 ლარი. 5. აღნიშნული პროექტი გამოცხადდება აღნიშნული პროექტი გამოცხადდება 2023 წელში გარდამავლად 2022 წელს ასათვისებელი თანხა 1 000,0 ათასი ლარი (3400 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 700 ბენეფიციარი. 6. დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, 2-ე ჩიხის მოასფალტება 160.4 ათასი ლარი. (200 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 150 ბენეფიციარი. 7. სოფელ გომში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტება 300,0 ათასი ლარი. (800 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 1500 ბენეფიციარი. ამასთან, დასრულდება 2021 წლის, 2022 წელში გარდამავალი პროექტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით (საქართველოს2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულება) და ადგილობრივი ბიუჯეტით კერძოდ სოფელ დუმაცხოვში მისასვლელი გზის მოასფალტება და სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტება. ასევე იგეგმება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით.

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ მოეწყობა ე.წ მინი სტადიონები და ტრენაჟორები ქალაქ ხაშურში და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1 000,0 ათასი ლარი ( სოფელი ბიჯნისი, სოფელი ცხრამუხა, ქ.ხაშური ჭალისუბნის დასახლებაში, ქ.ხაშური სსიპ N7 საჯარო სკოლის ეზოში, დაბა სურამში ცოცხნარის გადასახვევთან, დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩაზე, ქ.ხაშურში ფარნავაზის ქუჩაზე, ქ.ხაშურში გაგარინის ქუჩაზე, სოფელ ახალუბანში) 11 ცალი, აღნიშნული პროექტით ისარგებლებს 5000 ბენეფიციარი.

მუნიციპალიტეტშიმცხოვრებიმოსახლეობისთვის დაიგეგმა დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, კერძოდ ქ. ხაშურში თამარ მეფის ქ-ზე სამუსიკო სკოლის მიმდებარედ სკვერის მოწყობა 322, 75 ათასი ლარი, რითაც ისარგებლებს 1000 ბენეფიციარი. ქ.ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სასპორტო სკოლის საჭიდაო მოედნის იატაკის მოწყობა 100, 0 ათასი ლარი. ისარგებლებს და ივარჯიშებს 500 ბენეფიციარი, ასევე მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული ობიექტები.

ამასთან, გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და ექსპერტიზის ხარჯები - 400,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მონაწილეობითი ბიუჯეტირების კუთხით; მუნიციპალიტეტი განახორციელებს მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით მოწილეობითი ბიუჯეტირებას მისი არსი კი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ამდენად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უკვე კანონით განსაზღვრული ფორმებით (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, დასახლების საერთო კრება, პეტიცია და აშ) გარდა სხვა, დამატებითი მექანიზმებით, განახორციელოს მონაწილეობითი ბიუჯეტირება პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხა შეადგენს 300,0 ათას ლარს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთერთი აქტუალურია გამავალი მდინარეების და არხების გაწმენდა, კერძოდ მდინარე შოლას და მდინარე სურამულას წმენდა 324,7 ათასი ლარი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება 300,0 ათასი ლარი.

- ➢ <u>მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3944,3 ათასი ლარი, მათ შორის:</u>
- ✓ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება - 815,6 ათასი ლარი;
- ✓ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება - 2331,8 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 30,0 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დასაფარი თანხა და ვალის მომსახურება 796,9 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 261,1ათასი ლარი და პროცენტი - 504,2 ათასი ლარი.

<u>მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში</u>

- ➢ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 3795,0 ათასი ლარი;
- ➢ თავდაცვა - 149,0 თასი ლარი;
- ➢ ეკონომიკური საქმიანობა - 7648,0 ათასი ლარი;
- ➢ გარემოს დაცვა - 1822,0 ათასი ლარი;
- ➢ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1509,0 ათასი ლარი;
- ➢ ჯანმრთელობის დაცვა - ათასი ლარი 103,0 ათასი ლარი;
- ➢ განათლება - 2893,0 ათასი ლარი;
- ➢ სოციალური დაცვა - 1022,0 ათასი ლარი;

<u>,,ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:</u>

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2022-2025 წლები);
2. ინფორმაცია 2021 წლის 10 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს და არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ამრიგად, 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა შემოსულობებმა მოგვცა წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსების პროექტის დაგეგმვის შესაძლებლობა.

<u>ლელა მაჭარაშვილი,</u>
<u>ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის</u>
<u>საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი</u>

## ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

### თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | | | 2022 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **23453,75** | **25470,5** | **7083,9** | **18386,6** | **21003.10** | 0.0 | **21003.10** |
| გადასახადები | 13157.73 | 16663,7 | 0.0 | 16663,7 | 19155.20 | 0.0 | 19155.20 |
| გრანტები | 9221.7 | 7308,9 | 7083,9 | 225.00 | 250.00 | 0.0 | 250.00 |
| სხვა შემოსავლები | 1074.32 | 1 497,90 | 0.0 | 1 497,90 | 1597.90 | 0.0 | 1597.90 |
| **ხარჯები** | **10553.33** | **12912,34** | **126,91** | **12785,43** | **14067.98** | 0.0 | **14067.98** |
| შრომის ანაზღაურება | 1729.62 | 2 043,60 | 0.0 | 2043,6 | 2366.28 | 0.0 | 2366.28 |
| საქონელი და მომსახურება | 1560.28 | 1665,58 | 126,91 | 1538,67 | 2292.80 | 0.0 | 2292.80 |
| პროცენტი | 77.01 | 375,01 | 0.0 | 375,01 | 504.24 | 0.0 | 504.24 |
| სუბსიდიები | 5330.78 | 6511,1 | 0.0 | 6511,1 | 7390.18 | 0.0 | 7390.18 |
| გრანტები | 432.75 | 594,19 | 0.0 | 594,19 | 177.87 | 0.0 | 177.87 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 867.45 | 843,26 | 0.0 | 843,26 | 799.8 | 0.0 | 799.8 |
| სხვა ხარჯები | 555.59 | 879,6 | 0.0 | 879,6 | 736.8 | 0.0 | 736.8 |
| **საოპერაციო სალდო** | **12900,41** | **12558,11** | **6956,94** | **5601,17** | **6735.12** | 0.0 | **6735.12** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **11627.90** | **14889,25** | **7316,9** | **7572,35** | **6474.03** | 0.0 | **6474.03** |
| ზრდა | 12217.12 | 15189,25 | 7316,9 | 7872,35 | 6774.03 | 0.0 | 6774.03 |
| კლება | 589.22 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| **მთლიანი სალდო** | **1272,46** | **-2331.13** | **-359.95** | **-1971.18** | **261.10** | 0.0 | **261.10** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **1182,78** | **-2576.13** | **-359.95** | **-2216.18** | **0.0** | 0.0 | **0.0** |
| ზრდა | 1217,54 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1217,54 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 34,76 | -2576.13 | -359.95 | -2216.18 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 34,76 | 2576.13 | 359.95 | 2216.18 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-89,68** | **-245.0** | **0.0** | **-245.0** | **-261.10** | **0.0** | **-261.10** |
| ზრდა | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 89.68 | 245.0 | 0.0 | 245.0 | 261.10 | 0.0 | 261.10 |
| საშინაო | 89.68 | 245.0 | 0.0 | 245.0 | 261.10 | 0.0 | 261.10 |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.00** | **0.0** | **0.00** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | | | 2022 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | სულ | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | **26282,67** | **25770,5** | **7083,9** | **18686,6** | **21303.10** | 0.0 | **21303.10** |
| შემოსავლები | 23453,75 | 25470,5 | 7083,9 | 18386,6 | 21003.10 | 0.0 | 21003.10 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 589,22 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | **22770,45** | **28101,59** | **7443,81** | **20657,78** | **21042.00** | **0,0** | **21042.00** |
| ხარჯები | 10553,33 | 12912,34 | 126,91 | 12785,43 | 14267.98 | 0.0 | 14267.98 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 12217,12 | 15189,25 | 7316,9 | 7872,35 | 6774.03 | 0.0 | 6774.03 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | -89.68 | **-245** | **0.0** | **-245** | **-261.10** | **0.0** | **-261.10** |
| კლება | 89.68 | 245.0 | 0.0 | 245.0 | **261.10** | 0.0 | **261.10** |
| **ნაშთის ცვლილება** | **-1005.2** | **-2331.13** | **-359.95** | **-1971.18** | **261.10** | 0.0 | **261.10** |

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 21003.10 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | | | 2022 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **23453,75** | **25470,5** | **7083,9** | **18386,6** | **21003.10** | 0.0 | **21003.10** |
| გადასახადები | 13157,73 | 16663,7 | 0.0 | 16663,7 | 19155.20 | 0.0 | 19155.20 |
| გრანტები | 9221,7 | 7308,9 | 7083,9 | 225.00 | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| სხვა შემოსავლები | 1074,32 | 1 497.9 | 0,0 | 1 497.9 | 1597.90 | 0,0 | 1597.90 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 19155.20 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | | | 2022 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | სულ | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | **13157,73** | **16663,7** | **0,0** | **16663,7** | **19155.20** | **0,0** | **19155.20** |
| **საშემოსავლო გადასახადი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0.0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| **ქონების გადასახადი** | **2172,33** | **2300.0** | **0,0** | **2300.0** | **2500.0** | **0,0** | **2500.0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1069,9 | 1345.0 | 0,0 | 1345.0 | 1345.0 | 0,0 | 1345.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 184,3 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 55,26 | 22.0 | 0,0 | 22.0 | 82.0 | 0,0 | 82.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 171,67 | 65.0 | 0,0 | 65.0 | 205.0 | 0,0 | 205.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 691,2 | 868.0 | 0,0 | 868.0 | 868.0 | 0,0 | 868.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **დამატებითი ღირებულების გადასახადი** | **10985,4** | **14363,7** | **0,0** | **14363,7** | **16655.20** | **0,0** | **16655.20** |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 250,0 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **9221,7** | **7308,9** | **250.0** |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** | **0,0** | **0.0** | **0.0** |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **9221,7** | **7308,9** | **250.0** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **2163,1** | **374,5** | **0.0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 0.0 | 0,0 | 0.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 813,1 | 374,5 | 250.0 |
| სპეციალური ტრანსფერი | 1350 | 0.0 | 0.0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **7058,6** | **6934,4** | **0.0** |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 5396,3 | 6030,4 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 844.0 | 904.0 | 0.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა ტრანსფერები | 818,3 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1597,9 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 411,72 | 1497.9 | 1597.9 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 229,36 | 250.0 | 250.0 |
| პროცენტები | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| დივიდენდები | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| რენტა | 229,36 | 250.0 | 250.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 221,5 | 240.0 | 240.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 7,32 | 10.0 | 10.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0,53 | 0,0 | 0,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 182,36 | 290.4 | 290.4 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 150,65 | 250.4 | 250.4 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 38,15 | 50.0 | 50.0 |
| სატენდერო მოსაკრებელი | 0.00 | 0 | 0.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,0 | 0.4 | 0.4 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 0.0 | 0 | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 112,5 | 200.0 | 200.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 31,71 | 40.0 | 40.0 |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 31,71 | 40 | 40.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 557,5 | 957.5 | 1057.5 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 0.00 | 0.0 | 0.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 105,1 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14267,98 ათასი ლარის ოდენობით, ზრდა წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან განპირობებულია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,გრანტები “ზრდით, რამდენადაც ასიგნებები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის აქტივების პოტენციური ზრდისათვის

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | | | 2022 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | სულ | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 10553,33 | 12912,34 | 126,91 | 12785.43 | 14267.98 | 0.0 | 14267.98 |
| შრომის ანაზღაურება | 1729,62 | 2 043,60 | 0.0 | 2 043,60 | 2366.28 | 0.0 | 2366.28 |
| საქონელი და მომსახურება | 1560,28 | 1665,58 | 126,91 | 1538.67 | 2292.80 | 0.0 | 2292.80 |
| პროცენტი | 77,01 | 375,01 | 0.0 | 375,01 | 504.24 | 0.0 | 504.24 |
| სუბსიდიები | 5330,78 | 6511,1 | 0.0 | 6511,1 | 7390.18 | 0.0 | 7390.18 |
| გრანტები | 432,75 | 594,19 | 0.0 | 594,19 | 177.88 | 0.0 | 177.88 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 867,45 | 843,26 | 0.0 | 843,26 | 799.80 | 0.0 | 799.80 |
| სხვა ხარჯები | 555,45 | 879,6 | 0.0 | 879,6 | 736.80 | 0.0 | 736.80 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 474.03 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 774.03 ათასი ლარის ოდენობით

| კოდი | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 10,99 | 51,7 | 51.70 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 11263,05 | 13713,31 | 6622.33 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,56 | 0.0 | 0,0 |
| 04 00 | განათლება | 665,21 | 266,61 | 0,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 263,2 | 1157,63 | 100.00 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა | 13,11 | 0.0 | 0,0 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 589,22 | 300 | 300.0 |
| ძირითადი აქტივები | 506.15 | 0,0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 83,02 | 300 | 300.0 |
| მიწა | 83,02 | 300.0 | 300.0 |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2403.0** | **3338** | **3795.0** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2403.0 | 3338 | 3795.0 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2235.0 | 2710 | 2998.0 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 168.0 | 628 | 797.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0,0 | 0,0 | 0.0 |
| **702** | **თავდაცვა** | **113.0** | **125** | **149.0** |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **11009.0** | **13507** | **7648** |
| 7045 | ტრანსპორტი | 8181.0 | 9694 | 5037.0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 8181.0 | 9694 | 5037.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 2828.0 | 3813 | 2411.0 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **1584.0** | **1429** | **1822.0** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1584.0 | 1429 | 1822.0 |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **1572.0** | **1986** | **1509.0** |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0 | 0 | |
| 7063 | წყალმომარაგება | 830 | 1084 | 273.0 |
| 7064 | გარე განათება | 742 | 902 | 1236.0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0,0 | 0,0 | 0.0 |
| **707** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **103.0** | **108** | **103.0** |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 103.0 | 108 | 103.0 |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **2306.0** | **4106** | **2562.1** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 923.0 | 1495 | 1057.0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1283.0 | 2421.0 | 1375.1 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 100 | 190 | 130.0 |
| **709** | **განათლება** | **2616.0** | **2627** | **2893.0** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 2001.0 | 2525 | 2893.0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 615 | 102 | 0.0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 0.0 | 0,0 | 0.0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 0,0 | 0,0 | 0.0 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **1154** | **1121** | **1022.0** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 1,0 | 2,0 | 2.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 38,2 | 38,2 | 38.2 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 1043.8 | 970,8 | 940.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 71.0 | 110.0 | 80.0 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

1.4. მთლიანი სალდო, ანუ ნაერთი ბიუჯეტი პროფიციტურია და განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 261.10 ათასი ლარის ოდენობით.

| | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| | საოპერაციო სალდო | 12900,41 | 12558,11 | 6735.12 |
| | მთლიანი სალდო | 1272,46 | - 2331.13 | -261.10 |

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

| | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| | ფინანსური აქტივების ცვლილება | **1182.78** | **2576,13** | **0.0** |
| | ზრდა | 1217.54 | 0,0 | 0.0 |
| | ვალუტა და დეპოზიტი | 1217.54 | 0,0 | 0.0 |
| | კლება | 34.76 | 2576,13 | 0.0 |
| | ვალუტა და დეპოზიტი | 34.76 | 2576,13 | 0.0 |

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - (-261.1) ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017-2018-2021 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| | **ვალდებულებების ცვლილება** | **-100.0** | **-245** | **-261.10** |
| | ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | კლება | 100.0 | 245 | 261.10 |
| | საშინაო | 100.0 | 245 | 261.10 |
| | საგარეო | 0.0 | 0,0 | 0.0 |

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი - 250,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) □საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ□ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 103,0 ათასი ლარი;

ბ) □სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ□ და □სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ□ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 142,0 ათასი ლარი;

გ) სარიტუალო მომსახურება 5,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის პროგრამები და 2022-2025 წლების პრიორიტეტები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის პროგრამები და 2022-2025 წლების პრიორიტეტები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

(პროგრამული კოდი 01 00)

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და სართო დანიშნულების ხარჯები | 2515,58 | 3462,95 | 3944.32 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 2347,14 | 2834,7 | 3147.38 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 608,46 | 707,4 | 815.57 |
| | ხარჯები | 607,49 | 692,4 | 800.57 |
| | შრომის ანაზღაურება | 447,8 | 480 | 588.17 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,97 | 15,0 | 15,0 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 1626,07 | 2002,3 | 2182,47 |
| | ხარჯები | 1616,78 | 1965,6 | 2145,77 |
| | შრომის ანაზღაურება | 1187,96 | 1470 | 1660,17 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,29 | 36,7 | 36,7 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 112,61 | 125 | 149,34 |
| | ხარჯები | 111,87 | 125 | 149,33 |
| | შრომის ანაზღაურება | 93.86 | 93,6 | 117,93 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,74 | 0,0 | 0,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 168,41 | 628,25 | 796,94 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 0,0 | 6,6 | 30 |
| | ხარჯები | 0,0 | 6,6 | 30 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 1,72 | 1,6 | 1,6 |
| | ხარჯები | 1,72 | 1,6 | 1,6 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 166,69 | 620 | 765,34 |
| | ხარჯები | 77,01 | 375 | 504.24 |
| | ვალდებულებების კლება | 89,68 | 245 | 261.1 |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 01 02 03 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სამსახური |
| დაფინანსება | **765,34** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამის მიზანია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, შევიძინეთ სპეც მანქანები. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს **359.4** ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი **192,4** ლარს სულ **552,6** ლარს. 2022 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის **51,4** ლარის და პროცენტის **22,2** ლარის სულ **73,46** ლარის დაფარვა. 01.01.2022 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს **128,35** ლარს, ხოლო პროცენტი **133,87** ლარს სულ **262,22** ლარი სულ გადასახდელი 2022 წლიდან ძირი **231,05** ლარი, პროცენტი **58,63** ლარი.<br>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ,,ქ. ხაშურში მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია'' აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა **904,3** ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) -**271,2** ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) **180,9** ლარი ანაზღაურებულია. სესხის მოცულობა კი შეადგენს (50%) **452,1** ლარს, ხოლო სესხის გადასახდელი პროცენტი - **282,2** ლარს სულ **734,3** ლარი. 2022 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის **47,7** ლარის და პროცენტის **34,4** ლარის სულ **82,1** ლარის დაფარვა. 01.01. 2022 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს **118,2** ლარს, ხოლო პროცენტი **171,4** ლარს სულ **289,6** ლარს. სულ გადასახდელი 2022 წლიდან ძირი **334,0** ლარი, პროცენტი **110,82** ლარი.<br>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წლის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდა ,,ქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა'' აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს **6443,2** ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) **1932,9** ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) **1288,6** ლარია, აქედან 2019-2020-2021 წლებში ანაზღაურებული სრულად იქნა თანახმად ხელშეკრულების, სულ სესხის მოცულობა შეადგენს (50%) **3221,6** ლარს, რომლის გადახდაც გათვალისწინებულია გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2022 წლიდან. აქედან 2022 წელს გადასახდელი ძირი **292,8** ლარია, ხოლო პროცენტი - **1014,1** ლარია, ვინაიდან პროექტის დასრულება იგეგმებოდა 2021 წლის ოქტომბრამდე გათვალისწინებული გეგმა ძირი **150,7** ლარი და პროცენტი **293,6** ლარი, მიმართული იქნება 2022 წლის ვალდებულებების დასაფარად. ანუ 2022 წლის ბიუჯეტში დაგეგმილ იქნა ძირი აღნიშნული არსებული ნაშთის გამოკლებით ძირი **142,1** (292,8-150,7) ლარი და პროცენტი **427,7** (721,3-293,6) გადასახდელი პროცენტი სულ შეადგენს**1904,9** ლარი.<br>*შენიშვნა: თანხის გადახდის დღისათვის, გადასახდელი დარიცხული საპროცენტო თანხა შეიცვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ამასთან გადასახდელი ძირითადი თანხა არ შეიცვლება, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდის დღის დადგომამდე. შესაბამისად ამ მიზნით გათვალისწინებულია 40,0 ათასი ლარი. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** სასეხო ვალდებულება დაიფარება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში |

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტუქტურული პროექტების მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა, თუ ადგილობრივ მთავრობას, გამოიყენონ, აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები, საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 12581,22 | 15493,2 | 8956.85 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 8180,53 | 9694,3 | 5037.38 |
| 02 01 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია | 7882,21 | 9269 | 4649.58 |
| 02 01 02 | შიდა გზების მოვლა პატრონობა | 273,9 | 340,0 | 287.80 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 01 03 | თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება | 24,42 | 85,3 | 100,0 |
| **02 02** | **წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **830,41** | **1084,3** | **272.80** |
| 02 02 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 820,48 | 1014,3 | 272.80 |
| 02 02 01 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 797,64 | 939,3 | 75 |
| 02 02 01 02 | წყლის სათავე ნაგებობების მოვლა შენახვა | 22,85 | 75,0 | 97.80 |
| 02 02 02 | საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია | 9,93 | 70,0 | 0,0 |
| 02 02 02 01 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია | 9,83 | 0,0 | 0,0 |
| 02 02 02 02 | სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა | 0,0 | 70,0 | 0,0 |
| **02 03** | **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპუატაცია და მოვლა პატრონობა** | **741,89** | **901,95** | **1236.13** |
| 02 03 01 | გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | 387,65 | 676,95 | 928.43 |
| 02 03 02 | გარე განათების სისტემების მოვლა პატრონობა | 354,24 | 225 | 307.7 |
| **02 04** | **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** | **128,15** | **207,9** | **300** |
| **02 05** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **731,96** | **671,3** | **1410.55** |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | **731,96** | **671,3** | 1410.55 |
| 02 05 01 01 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების და სპორტული მოედნების მოწყობა | 478,5 | 339,2 | 1000.0 |
| 02 05 01 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია | 156,6 | 258,1 | 322.75 |
| 02 05 01 03 | ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები | 36,57 | 30,0 | 30,0 |
| 02 05 01 04 | სასაფლაობის მოვლა-პატრონობა | 60,28 | 44,0 | 57.8 |
| **02 06** | **სოფლის პროგრამის მხარდაჭერა** | **1310,21** | **1273,83** | **0.0** |
| **02 07** | **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა** | **613,74** | **595.82** | **400** |
| **02 08** | **ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია.** | **44,32** | **1063,68** | **0,0** |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 01 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **4649.58** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამის მიზანია: პრიორიტეტის ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ დაგეგმილია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინასებით საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: 1. დაბა სურამში ბაიანთხევის დასახლებაში ბეტონის გზის მოწყობა. მთლიანი პროექტის ღირებულება **1 189,0** ლარი. (1600 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 1200 ბენეფიციარი. 2. სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის მოასფალტება მთლიანი პროექტის ღირებულება 1 040,7 ლარი. აღნიშნული პროექტი გამოცხადდება 2023 წელში გარდამავლად 2022 წელს ასათვისებელი თანხა **600,0** ლარი (17000 გრძ/.მეტრი) ისარგებლებს 500 ბენეფიციარი. 3. სოფელ ტეზერში ბეტონის გზის დაგება მთლიანი პროექტის ღირებულება 1 649, 8 ლარი აღნიშნული პროექტი გამოცხადდება 2023 წელში გარდამავლად, 2022 წელს ასათვისებელი თანხა **1 000,0** ლარი, (2400 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 800 ბენეფიციარი. 4. სოფელ დიდ და პატარა სატივეში მისასვლელი გზის მოასფალტება მთლიანი პროექტის ღირებულება 2 375.0 ლარი. 5. აღნიშნული პროექტი გამოცხადდება აღნიშნული პროექტი გამოცხადდება 2023 წელში გარდამავლად 2022 წელს ასათვისებელი თანხა **1 000, 0** ლარი (3400 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 700 ბენეფიციარი. 6. დაბა სურამში ჩუმათელეთის დასახლებაში 2-ე ჩიხის მოასფალტება **160.4** ლარი. (200 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 150 ბენეფიციარი. 7. სოფელ გომში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტება **300,0** ლარი. (800 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 1500 ბენეფიციარი.<br><br>ამასთან დასრულდება 2021 წლის, 2022 წელში გარდამავალი პროექტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით (საქართველოს2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულება) და ადგილობრივი ბიუჯეტით კერძოდ სოფელ დუმაცხოვში მისასვლელი გზის მოასფალტება და სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტება. ასევე იგეგმება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით, რაც შესაძლებელს გახდის რომ, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე, ხოლო სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** რეაბილიტირებული გზები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლე , დამსვენებელი მათ შორის ტურისტი. გზა მნიშვნელოვანი დამაკავშირებელია მიმდებარე სოფლების, ადმინისტრაციულ ცენტრთან. ამ გზით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. საერთო ჯამში ისარგებლებს მუნიციპატეტის მოსახლეობა დაბა სურამის სოფლების ბაიანთხევის და ბიჯნისის მოასფალტება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკურორტო სეზონზე ადგილობრივ ბიზნესს, ქალაქ ხაშურს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კორიდორის შექმნის, განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის არამედ მთელი რეგიონისათვის მოვლილი ქალაქის ქუჩები გზები და ტროტუარები, ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. |

| პროგრამის კლასიფიკა | 02 01 02 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **შიდა გზების მოვლა - შენახვა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **287.8** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | • ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 267,9 კმ-ს. ა) ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში პროგრესი ქუჩების კეთილმოწყობაში დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან გრუნტის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა მიწის საფარის ჰიდრო და სითბური რეჟიმის კანონების გათვალისწინება მინერალური მასალების ფართოდ შესწავლა მოხრეშილი საფარიანი გზების მშენებლობის ტექნოლოგიების გამოკვლევა და სხვა ბ) ნორმალური ქუჩა და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს ქალაქის და სხვა ტიპის ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის როგორც გამოცდილებამ უჩვენა ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე ამავე დროს აქვს უარყოფითი თვისებებიც, რაც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევასთან გ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება ზღუდეების დადგმა მიმმართველებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების დატანა ქუჩის ასფალტირებულ საფარზე ე) საგზაო ნიშნები და შუქნიშნები მონტაჟდება ისე, რომ ადვილი და თავისდროული გასარჩევი და დასანახი იყოს იმ მძღოლისათვის ვისთვისაც არის გათვალისწინებული ქვეპროგრამის განხორციელების გზები: ა) დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ქალაქ ხაშურში [illegible] |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ქ. ხაშურში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესაბამისად შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას, ასევე ქალაქის ქუჩების, დაბა სურამისა და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ქალაქ ხაშურის და სოფლების ადგილობრივი მოსახლეები და დამსვენებლები საკურორტო სეზონზე. |

| პროგრამის კლასიფიკა | 02 01 03 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება |
| პროგრამაზე პასუხისმგებ | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **100,0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | • ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებით მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებისა და უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ისინი აფრთხილებენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სხვადასხვა სახიფათო უბნებთან მიახლოების შესახებ, ზღუდავენ ან კრძალავენ ქუჩებისა და გზების ცალკეულ უბნებზე ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, აწესრიგებენ გზაჯვარედინის, სავალი ნაწილების გადაკვეთისა და გზის ვიწრო უბნის გავლის თანმიმდევრობას, აზუსტებენ ძირითადი ნიშნების მოქმედების ზონას, დროს, მანძილს ობიექტამდე ან ზღუდავენ მათ მოქმედებასნებას. მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება ზღუდეების დადგმა მიმმართველებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების დატანა ქუჩის ასფალტირებულ საფარზე. სულ მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის დასრულდა ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცობ ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეო სამეთვალყრეო 36 კამერის მონტაჟი. ასევე გათვალისწინებულია „ჩქაროსნულ მაგისტრალზე ოსიაურთან და ჩუმათელეთთან მოწყობილი 5 ვიდეო-სათვალთვალო კამერის ყოველთვიური მომსახურება. საგზაო ნიშნები და შუქნიშნები მონტაჟდება ისე, რომ ადვილი და თავისდროული გასარჩევი და დასანახი იყოს იმ მძღოლისათვის ვისთვისაც არის გათვალისწინებული ქვეპროგრამის განხორციელების გზები: |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ქ. ხაშურში და დაბა სურამში ქუჩებსა და გზებზე საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის, ასევე დამსვენებლებისათვის საკუროტო სეზონზე მეტი უსაფრთხოება და საგზაო მოძრაობის წესების დაცვა. |

| პროგრამის კლასიფიკა | 02 02 01 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **175.0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ხაშურის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში სოფლებში სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბი სადგურების, სათავე ნაგებობების მიერ მოხმარებული ელექტო ენერგიის საფასურის ანაზღაურება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება; - მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებებს ექნება შეუფერხებლი წვდომა იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოტაცია იქნება უწყვეტ რეჟიმში, ხოლო წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნება დროულად. ასევე დაიგეგმა საჭიროების შემთხვევაში წყლის ტუმბოების და მასალების შეძენა. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 02 01 02 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **წყლის სათავე-ნაგებობების მოვლა-პატრონობა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **97.8** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ხაშურის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში სოფლებში სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბი სადგურების, სათავე ნაგებობების მიერ მოხმარებული ელექტო ენერგიის საფასურის ანაზღაურება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება; - მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებებს ექნება შეუფერხებლი წვდომა იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოტაცია იქნება უწყვეტ რეჟიმში, ხოლო წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნება დროულად. ასევე დაიგეგმა საჭიროების შემთხვევაში წყლის ტუმბოების და მასალების შეძენა. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** წყლის სათავე ნაგებობის სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა და უსაფრთხოება. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 03 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **928.43** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამის ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 400,0 ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას ა) კონტროლს ელექტრო ენერგიის ხარჯვაზე. ქუჩების განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ძირითად მომსახურეობას: 1) უბნებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯვის დადასტურება, დახარჯული ელექტროენერგიის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 2) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერგიის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 03 02 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **307.7** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას და რეაბილიტაციას, ამ სისტემაში ელექტრო ენერგიის მოხმარებაზე კონტროლის განხორციელებას. განათების სისტემის მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვაც უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რაც თავის მხრივ გულისხმობს: ა) სისტემის ტექნიკურად გამართულ მუშაობას. პროგრამით გათვალისწინებული ობიექტების ყოველკვირეული შემოვლა, ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევების გამოვლენა, შესაბამისად უმოკლეს ვადაში სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. 2) კონტროლის განხორციელება დღის განმავლობაში ღამის განათების ნათურების ანთების ფაქტზე, ელექტრო ენერგიის დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მათი გათიშვის უზრუნველყოფა და ამ კუთხით სისტემის გამართული მუშაობის აღდგენა. 3) კონკრეტულ უბანზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და დანახარჯთა ნუსხის წარმოდგენა ამ მიზნით საჭირო დაფინანსების მისაღებად. 4) ცალკეულ უბნებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯვის აქტების დადასტურება, დახარჯული ელექტროენერგიის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 5) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერგიის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ [illegible] |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.მ უნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განთება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით და არსებული ნათურების ეფექტური დიოდური ნათურებით ეტაპობრივად ამოცვლა. |

| პროგრამის კლასიფიკა | 02 04 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | *300,0 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის კერძოდ შუშის ქარხნის დასახლებაში მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამიის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებები. ბიუჯეტით გათვალისწინებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელსემწყობ პროგრამით ამხანაგობა აწარმოებს ბინათმესაკუთრეთა აღრიცხვის ჟურნალს ამხანაგობა წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ და პრობლემის არსს, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განცხადება. ასევე ბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, რეაბილიტირებული შენობები |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 05 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | *1410,55 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა იმ ღონისძიებებია და სამუშაოთა ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასიკეთო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამა უნდა შეგვს ტერიტორიის სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების გათვალისწინებით.ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა".ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 05 01 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია, მშენებლობა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | *1000.0 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ მოეწყობა ე.წ მინი სტადიონები და ტრენაჟორები ქალაქ ხაშურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების და გარე ტრენაჟორების მოწყობა რეაბილიტაცია **1 000,0** ათასი ლარი ( სოფელი ბიჯნისი, სოფელი ცხრამუხა, ქ.ხაშური ჭალისუბნის დასახლებაში, ქ.ხაშური სსიპ N7 საჯარო სკოლის ეზოში, დაბა სურამში ცოცხნარის გადასახვევთან, დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩაზე, ქ.ხაშურში ფარნავაზის ქუჩაზე, ქ.ხაშურში გაგარინის ქუჩაზე, სოფელ ახალუბანში) 11 ცალი, აღნიშნული პროექტით ისარგებლებს 5000 ბენეფიციარი. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო გარემო, სივრცე ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 05 01 02 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკების და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია** |
| პროგრამაზე პასუხისმგებ | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | *322.75 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, კერძოდ ქ. ხაშურში თამარ მეფის ქ-ზე სამუსიკო სკოლის მიმდებარედ სკვერის მოწყობა **322, 75** ათასი ლარი, რითაც ისარგებლებს 1000 ბენეფიციარი. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 05 01 03 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | *30,0 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ვიზუალურად ესტეტიკური გრემოს შექმნა მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 02 05 01 04 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სასაფლაოების მოვლა-პატრონობა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი" ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | *57.8 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მეორე პუნქტის „ს)" ქვეპუნქტის შესაბამისად მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სასაფლაოების მოვლა-პატრონობის საკითხზე;<br>„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა - პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 ივლისის №60 დადგენილება განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის – ხაშურის მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობისა და მართვის, მოვლა-პატრონობის, სარიტუალო მომსახურების, სასაფლაოების დახურვის, გაუქმების ლიკვიდაციისაა და ახალი სასაფლაოების გახსნის წესებს.<br>აღნიშნიული წესით სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლავების (სამარხების) ქაოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალიწინებული უნდა იქნეს:<br>ა) დასაფლავებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფა და მათი გამოყენების რიგითობა;<br>ბ) გასასვლელებისა და ფეხით სავალი გზების მიმართულება, ზომები და კეთილმოწყობა;<br>გ) მწვანე ნარგავების განთავსება და ხასიათი;<br>დ) სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობები და ნაგებობები (საოფისე შენობა, წყალგაყვანილობა, ყვავილების მაღაზია, საზოგადოებრივი ტუალეტი, დაკრძალვის წინ ცხედრის დასასვენებლად (სამოქალაქო პანაშვიდი და ა. შ.) განკუთვნილი სპეციალური შენობა და ა. შ;<br>ე) სასაფლაოს გამწვანება, სასაფლაოს პერიმეტრის გასწვრივ დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება და დეკორატიული ნარგავების დარგვა. ძირითად ხეივნებსა და დაკრძალვის ადგილებში საკმარისი განიავების უზრუნველყოფით;<br>ვ) სასაფლაოს შესასვლელებში საავტომობილო სადგომის მოწყობა;<br>ზ) საფლავებისა და საფლავში და სამარხების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა.<br>ამ საქმიანობას და სასაფლაოების მართვას წესის მე-6-ე მუხლის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხაშურსერვისი", რომლის მართვაში საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება იყოს როგორც ახალი სასაფლაოს ტერიტორია, ასევე უკვე არსებული სასაფლაო (სასაფლაოები).<br>სასაფლაოების მმართველი „ხაშურსერვისი" ახორციელებს სასაფლაოების მართვასთან, მათ მოვლა-პატრონობასთან, გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებით საჭირო შესაბამის მომსახურებას და ვალდებულია განახორციელოს შემდეგი მომსახურება:<br>ა) სასაფლაოებზე საფლავების (სამარეების) დადგენილი წესით გამოყოფა;<br>ბ) სასაფლაოზე გამოყოფილი სამარის გათხრა და ამოვსება;<br>გ) გარდაცვლილის სამარეში ჩასვენება;<br>დ) სამარხზე სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება, საფლავებისა და საფლავში სამარეების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა;<br>ე) სასაფლაოების გასასვლელების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;<br>ვ) დაინტერესებული პირებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;<br>ზ) საფლავის პასპორტის გაცემა ახალი საფლავის გაცემისას;<br>თ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა მომსახურების გაწევა.<br>ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის სფეროში დღეის მდგომარეობით განსაკუთრებით თვალშისაცემია გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და ჭირისუფლების მიერ საფლავისათვის დადგენილი ნორმების დარღვევა და დამატებითი ფართობების დაკავება, ასევე დაგეგმარების გარეშე, ქაოტურად საფლავების მოწყობა, რაც თავის მხრივ იწვევს მიწის საკითხებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემის წარმოქმნას. ასევე დღის წესრიგში დგას საფლავების დაზიანება ამორტიზირებული ხეების დაწოლით, რასაც ემატება შიდასაკვარტალო გზების მოუწყობლობა და ეკალ-ბარდებით მოფენილი. შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია შესაბამისი პროგრამის - „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა" - ამოქმედება. |
| მოსალოდნელი შედეგი | შეთავაზებული სერვისების სახეობების და მოცულობის შესახებ მონაცემების 25%-ნი ზრდის მაჩვენებელი სათანადოდ დამოწმებული განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მონაცემები 1-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს სათანადოდ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები 2-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდ | 02 07 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური. |
| დაფინანსება | *400,0 ათასი ლარი* |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ზედამხედველობა გაეწიოს პროექტების განხორციელებას, შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.<br><br>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.<br><br>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდერტებს)ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შეძენილი პროექტები |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდ | 02 09 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმ | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **300,00** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | **ქვეპროგრამის მიზანი, ქვეპროგრამის აღწერა:** მონაწილეობითი ბიუჯეტი, პრაქტიკაში გამოიყენებენ, როგორც (თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება) რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციასა, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს მასსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს. მოწილეობითი ბიუჯეტირების არსი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მაღალი საფეხური, დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც. მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალექეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მონაწილეობით ბიუჯეტრებას განახორციელებს 2022 წლიდან. ადგილობრივ პროექტების შერჩევაში მეტი ჩართული და კმაყოფილი პასუხისმგებლიანი მოსახლეობა. პროექტი ხელს შეუწყობს მეტ დემოკრატიას. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1584,3** | **1429** | **1821.9** |
| **03 01** | **ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა** | **1354,97** | **1016** | **1373.07** |
| 03 01 01 | ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა | 906,99 | 1016 | 1045.2 |
| 03 01 02 | მდინარეების, არხების რეაბილიტაციისა და გაწმენდის ღონისძიებები | 447,98 | 0,0 | 327.87 |
| **03 02** | **კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში** | **0,0** | **97,6** | **0,0** |
| 03 02 01 | დასუფთავებისათვის სპეცტექნიკის შეძენა | 0,0 | 97,6 | 0,0 |
| **03 03** | **მწვანე ნარგაობების, ს მოვლა-პატრონობა, განვითარება** | **170,23** | **199,2** | **270.90** |
| 03 03 01 | მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების, დასავენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (ხაშურსერვისი) | 170,23 | 199,2 | 270.90 |
| **03 04** | **უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობის პროგრამა** | **59,1** | **48,3** | **0.00** |
| **03 05** | **უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა(ა)იპ ,,მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო'')** | **0.00** | **67,9** | **177,87** |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 03 01 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონიაძიებების პროგრამა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი" ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **1045.20** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. კეთილმოწყობის წესების ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს კეთილმოწყობის ობიექტების დალაგებას, დასუფთავებას, სანიტარიული პირობების დაცვას, ნარჩენების გატანას და მათ ეკოლოგიურად უსაფრთხო უტილიზაციას. გათვალისწინებულ უნდა იყოს სეზონების მიხედვით ჩასატარებელი დასუფთავების სამუშაოები (ზამთრის პერიოდში თოვლისა და ყინულისგან გაწმენდა, ზაფხულის პერიოდში მორწყვა და ა.შ.). დაგვილი და დასუფთავებული ქუჩები მოედნები და ტროტუარები გაწმედილი კიუვეტები და ნიაღვარგამშვებები მოსახლეობის ორგანიზაციების კვებისა და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენებისაგან გათავისუფლებული სანაგვე ურნების მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიურ იერსახეზე ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე ქვეპროგრამას საფუძვლად უდევს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა. პროგრამა მიმართულია დადგენილი პერიოდულობით მოსახლეობის სიმჭიდროვის პრესტიჟულობის ადგილ მდებარეობის გათვალისწინებით შესაბამისად ქალაქ ხაშურის და დაბა სურამის ცენტრალური ქუჩების მოედნების და ტროტუარების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი გადანაყარის გატანის მომსახურეობა მოიცავს ა) განსაზღვრული ტერიტორიების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე ბ) მოედნებისა და ქუჩის ტროტუარების და სავალი ნაწილის დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე გ) დანალექი მასისაგან და სარეველა მცენარეებისაგან ტროტუარის კიდეების ბორდიურების და სავალი ნაწილის ნაწიბურის გასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე დ) საავტომობილო ცენტრალური მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების ორივე მხარეს დასუფთავება გაწმენდა და მოგროვილი გადანაყარის სპეც ავტომანქანაზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება და ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება მოიცავს ა დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** გაუმჯობესდება ეკოლოგიური და სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა. გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია. ქვეპროგრამის შედეგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის და გარემოს დაცვის გაუმჯობესება |

| პროგრამის კლასიფიკაციის კო | 03 01 02 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მდინარეების და არხების წმენდა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და გ | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **327,87** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | • ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების და არხების გაწმენდა, მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი სამუშაოებია, რაც სტიქიის პრევენციისთვის და ჰიგიენის ნორმების დაცვისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეალურად მდინარეების და არხის გამტარუნარიანობა პერიოდუ იზღუდა, რაც გამოწვეულია (სურამულა, შოლა, ბიჯნისულა, მტკვარი, ტილიანა, ფრონე, ჭერათხეულა) მდინარის კალაპოტში მიმდინარე აკუმულაციის შედეგად კალაპოტი ივსება მყარი ნატანით, ზოგიერთ მონაკვეთზე კალაპოტშ ამოსულია ბუჩქნარი. ყველაფერი ეს ამცირებს კალაპოტის კვეთს, რაც უხვი ნალექის დროს ძლიერი წყალმოვარდნების და წყალდიდობების<br><br>დროს იწვევს წყლის ნაკადის გადმოსვლას ნაპირებიდან და ქალაქის, დაბის და სოფლების დასახლების მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების დატბორვას, რაც სერიოზული ზარალს აყენებს მოსახლეობას. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მდინარის კალაპოტის გაწმენდა-გაფართოება, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** პროექტი ხელს შეუწყობს მდინარეების წყალგამტარიანობას და შესაბამისად ადიდებული მდინარის საშიშროების პრობლემა მოიხსნება. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 03 03 |
| პროგრამის დასახელება: | **მწვანე ნარგაობების მოვლა - პატრონობა და განვითარება** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **270.9** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მწვანე საფარს მიკუთვნებული ობიექტების მდგომარეობა ერთის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიურ იერსახეზე, ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე. კეთილმოწყობილი და მოვლილი სკვერები, ბაღები, გაზონები და გამწვანების ობიექტები წარმოადგენენ ქალაქის ერთგვარ სავიზიტო ბარათს, იმიჯს. მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადამიანის ყოველდღიურ ყოფაზე და მოღვაწეობაზე. ქალაქის გამწვანების უპირველესი დანიშნულებაა - ქალაქის ატმოსფეროს გაჯანსაღება. აუცილებელია გამწვანების ობიექტების, ბაღების, სკვერების, გაზონების აღდგენა და მოქალაქეთა სამსახურში ჩაყენება, რათა ინტენსიურად წარიმართოს ფოტოსინთეზისა და გამონაბოლქვი აირების 6 მცენარეების მიერ შთანთქმის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონი პირდაპირ ადგენს შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რესურსების მობილიზების აუცილებლობას. ამ ფონზე არსანიშნავია, რომ ქ. ხაშურის და დაბა სურამის გამწვანების ობიექტების მდგომარეობა და კეთილმოწყობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე და ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს. აღარ ფუნქციონირებს გამწვანების სანერგე მეურნეობა, სადაც ხდებოდა როგორც ყვავილების ჩითილების გამოყვანა, ისე დეკორატიული ხე-მცენარეებისა და ბუჩქების გამოყვანა-ფორმირება პროგრამას საფუძვლად უდევს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ)“ ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება და პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ასევე ეფუძნება იმ გარემოებასაც, რომ თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა ძირითადი ქონების სახით სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები და მწვანე ნარგაობები. გამწვანების ობიექტების, როგორც ძირითადი ქონების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა. მოსახლეობისათვის კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა, სასმელი წყლის სისტემის და შადრევნების მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება.<br>პროგრამის ფარგლებში მოხდება |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო; სასმელი წყლის სისტემისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება.ქალაქის ატმოსფეროს გაუმჯობესება მწვანე საფარის, გაზონებისა და ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილნარების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესრულება 2 მოქალაქეთა ესთეტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მოქალაქეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (სკვერები, გაზონები და ა.შ) სხვადასხვა ჯიშისა და შეთანაწყობებული ფერების ყვავილნარების მოწყობის, დეკორატიული ბუჩქებისა და ხე-მცენარეების ფორმირებისა და მოვლაპატრონობის ჩატარებული სამუშაოების მოცულობა 3 ქალაქის იერ-სახის და ეკოსისტემის გაუმჯობესება მოქალაქეთა მიერ გამოხატული აზრით შეფასება |


| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 03 03 |
| პროგრამის დასახელება: | **მწვანე ნარგაობების მოვლა - პატრონობა და განვითარება** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **270.9** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მწვანე საფარს მიკუთვნებული ობიექტების მდგომარეობა ერთის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიურ იერსახეზე, ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე. კეთილმოწყობილი და მოვლილი სკვერები, ბაღები, გაზონები და გამწვანების ობიექტები წარმოადგენენ ქალაქის ერთგვარ სავიზიტო ბარათს, იმიჯს. მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადამიანის ყოველდღიურ ყოფაზე და მოღვაწეობაზე. ქალაქის გამწვანების უპირველესი დანიშნულებაა - ქალაქის ატმოსფეროს გაჯანსაღება. აუცილებელია გამწვანების ობიექტების, ბაღების, სკვერების, გაზონების აღდგენა და მოქალაქეთა სამსახურში ჩაყენება, რათა ინტენსიურად წარიმართოს ფოტოსინთეზისა და გამონაბოლქვი აირების 6 მცენარეების მიერ შთანთქმის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონი პირდაპირ ადგენს შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რესურსების მობილიზების აუცილებლობას. ამ ფონზე არსანიშნავია, რომ ქ. ხაშურის და დაბა სურამის გამწვანების ობიექტების მდგომარეობა და კეთილმოწყობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე და ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს. აღარ ფუნქციონირებს გამწვანების სანერგე მეურნეობა, სადაც ხდებოდა როგორც ყვავილების ჩითილების გამოყვანა, ისე დეკორატიული ხე-მცენარეებისა და ბუჩქების გამოყვანა-ფორმირება პროგრამას საფუძვლად უდევს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ)“ ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება და პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ასევე ეფუძნება იმ გარემოებასაც, რომ თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა ძირითადი ქონების სახით სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები და მწვანე ნარგაობები. გამწვანების ობიექტების, როგორც ძირითადი ქონების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა. მოსახლეობისათვის კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა, სასმელი წყლის სისტემის და შადრევნების მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება.<br>პროგრამის ფარგლებში მოხდება |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო; სასმელი წყლის სისტემისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება.ქალაქის ატმოსფეროს გაუმჯობესება მწვანე საფარის, გაზონებისა და ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილნარების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესრულება 2 მოქალაქეთა ესთეტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მოქალაქეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (სკვერები, გაზონები და ა.შ) სხვადასხვა ჯიშისა და შეთანაწყობებული ფერების ყვავილნარების მოწყობის, დეკორატიული ბუჩქებისა და ხე-მცენარეების ფორმირებისა და მოვლაპატრონობის ჩატარებული სამუშაოების მოცულობა 3 ქალაქის იერ-სახის და ეკოსისტემის გაუმჯობესება მოქალაქეთა მიერ გამოხატული აზრით შეფასება |


| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 03 05 |
| პროგრამის დასახელება: | **უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა(ა)იპ ,,მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო'') |
| დაფინანსება | **177, 87** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ქვეპროგრამა მიმართულია მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს ფუნქციონირებისათვის და სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებისათვის, რათა ადამიანებისა და ცხოველების თანაარსებობისათვის მგრადი გარემოს შექმნა. ქალაქ ხაშურის, დაბა სურამის დასახლებათა ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი და მაწანწალა ცხოველების (ძაღლები, კატები, პირუტყვი) პოპულაციის რაოდენობის კონტროლის ხელშეწყობა და ტერიტორიიდან იზოლაცია და გადაყვანა ქალქ გორში. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი წვრილფეხა და მსხვილფეხა ცხოველების სპეციალურ ადგილზე (ცხოველთა თავშესაფარში) გადაყვანა და მოვლაპატრონობა, რაც გულისხმობს მათ დაჭერას, ავტოტრანსპორტში მოთავსებას და გადაყვანას სპეციალურ სადგომში, სადაც განთავსებულია ვეტერინალური კლინიკა, ლაბორატორია, ვოილერები სადაც მოხდება ცხოველის კვება და მოვლა-პატრონობა, ხოლო დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი დაავადებული ცხოველების მკურნალობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ადამიანებისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა იზოლირებული ცხოველების მათ შორის პირუტყვის რაოდენობა განსაკუთრებით აგრესიული მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება მოსახლეობის მოთხოვნაზე რეაგირების ვადა და შემოსული განცხადებების რაოდენობის შემცირება. |

## განათლება
## (პროგრამული კოდი 04 00)

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ისეთი ცხოვრების სტანდარტი რაც ადეკვატურია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისათვის საქართველოს მთავრობამ აიღო ძლიერი ვალდებულება ადრეული ასაკიდან ბავშვთა განვითარების პრინციპების მიმართ და მხარს უჭერს ბავშვთა განვითარებული, ემოციურად დაცული, სოციალურად ადაპტირებული სწავლის შესაძლებლობის რაც დადასტურებულებულია ეროვნული პოლიტიკით და დემონსტრირებულია მიმდინარე პროგრამებით. განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 2912,8 | 2615,99 | 2893.00 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 2039.40 | 2000,66 | 2893.00 |
| 04 02 | საჯარო სკოლების ხელშეწყობა | 873.40 | 615,33 | 0,0 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 04 01 |
| პროგრამის დასახელება: | **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. |
| დაფინანსება | **2893.0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. გაერთიანება მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს- №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14 15, №16, №17, №18 საბავშვო ბაღს და სამ ალტერნატიულ სააღმზრდელო ჯგუფს. მათ შორის ხაშურში განთავსებულია №1–№8 საბავშვო ბაღები, №9 დაბა სურამში, №10 სოფელ ცხრამუხაში, №11 სოფელ ალში, №12 სოფელ ოსიაურში, №13 სოფელ გომში, №14 სოფელ ვაყაში, №15 სოფელ ქვიშხეთში, №16 სოფელ წრომში, №17 სოფელ ტეზერში, №18 სოფელ სატივეში და *გათვლილია 2 000 ბავშვზე;* პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. ***პროგრამის არსი*** *პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტბს გამწვანების სანერგე მეურნეობა, სადაც ხდებოდა როგორც ყვავილების ჩითილების გამოყვანა, ისე დეკორატიული ხე-მცენარეებისა და ბუჩქების გამოყვანა-ფორმირება პროგრამას საფუძვლად უდევს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ)“ ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება,* შესაბამისი პროგრამების დამტკიცება და პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ასევე ეფუძნება იმ გარემოებასაც, რომ თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა ძირითადი ქონების სახით სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები და მწვანე ნარგაობები. გამწვანების ობიექტების, როგორც ძირითადი ქონების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა. მოსახლეობისათვის კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა, სასმელი წყლის სისტემის და შადრევნების მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება. ტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე დ) საავტომობილო ცენტრალური მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების ორივე მხარეს დასუფთავება გაწმენდა და მოგროვილი გადანაყარის სპეც ავტომანქანაზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება და ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება მოიცავს ა დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებში მცხოვ |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** *მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურეობის ხელმისაწვდომობა; მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.* **შეფასების ინდიკატორი:** სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, აღსაზრდელთა რაოდენობა. |

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა, და სპორტი** | **2305,92** | **4105,9** | **2562.08** |
| **05 01** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **923,44** | **1495,2** | **1057.00** |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 72,79 | 290,0 | 290,0 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლების ხელშეწყობა | 429,69 | 600 | 667.00 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბლიტაცია | 420,96 | 605,2 | 100.0 |
| 05 01 03 01 | სპორტული კომპლექსის მშენებლობა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 03 02 | ქ. ხაშურში სტადიონის მშენებლობა | 420,96 | 540,2 | 0,0 |
| **05 02** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **1278,64** | **2445,3** | **1326,7** |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 35,81 | 125,5 | 155,5 |
| 05 02 02 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა | 320,99 | 377,26 | 327.0 |
| 05 02 03 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 157,37 | 219,8 | 192.50 |
| 05 02 04 | კულტურის ცენტრების ხელშეწყობა | 421,2 | 1192,46 | 358.40 |
| 05 02 04 01 | კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 04 02 | კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა | 310,79 | 330 | 358.40 |
| 05 02 04 03 | საქალაქო კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია | 46,69 | 862,46 | 0,0 |
| 05 02 04 04 | ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა | 63,72 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 05 | მუზეუმების ხელშეწყობა | 204,09 | 297,56 | 257.20 |
| 05 02 06 | საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა | 39,19 | 42,8 | 45.98 |
| 05 02 07 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 100 | 190.0 | 130,0 |
| **05 03** | **ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭრა** | **103,84** | **165,4** | **38,5** |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 01 01 |
| პროგრამის დასახელება: | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143) |
| დაფინანსება | **290,0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ***პროგრამის მიზანია*** *ხელი შეუწყოს ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის.ქ. ხაშურში ფუნქციონირებს შემდეგი ძირითადი სახეობები: ჭიდაობა ძიუდო (2 ჯგუფი), ჭიდაობა სამბო (2 ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5 ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1 ჯგუფი), ქართული ჭიდაობა (3 ჯგუფი), ჭადრაკი (1 ჯგუფი), კალათბურთი (6 ჯგუფი), ფეხბურთი (15 ჯგუფი), ჩოგბურთი (1 ჯგუფი), ძალოსნობა (2 ჯგუფი), რაგბი (3 ჯგუფი), ბატუტზე ხტომა (2 ჯგუფი). დაბა სურამში: ძიუდო (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), რაგბი (2 ჯგუფი). სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. გომში – ჭადრაკი (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი (2 ჯგუფი), სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო (1 ჯგუფი); სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა (1 ჯგუფი), სოფ. ფლევში – ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი (1 ჯგუფი). ასევე საფეხბურთო გუნდი ,,ივერიის'' ფუნქციონირების ხელშეწყობა.* |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობის ზრდა სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწევების მქონე პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენა. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 01 02 |
| პროგრამის დასახელება: | **სპორტული სკოლების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143) |
| დაფინანსება | **667.00** ათასი ლარი |
| | *ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის 12 ძირითად სახეობაში. მეცადინეობები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი ,,სპორტის შესახებ"* ***პროგრამის არსი:*** *კომპლექსურ სასპორტო სკოლაში გაწევრიანებულია 1 300 ბავშვი. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს, პირველ რიგში, მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მავნე ჩვევებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას ეროვნული ნაკრებებისთვის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხელს შეუწყობს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირებას, მომუშავეთა შრომის სტაბილურ ანაზღაურებას და დამსახურებულ მწვრთნელთა (რომელთაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მიეცემათ დამსახურების მოწმობა) წახალისებას, რომლებიც აღზრდიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს დიდებში ან გუნდურ სპორტის სახეობებში გაზრდიან ეროვნული ნაკრების წევრებს.*<br>*2021 წლის ბოლოს გაიხსნება ქალაქ ხაშურის საფეხბურთო სტადიონი, რომლის მოვლა-პატრონობაც განხორციელდება ა(ა)იპის მეშვეობით, გათვალისწინებული თანხა მოხმარდება სტადიონის მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებას, კომუნალური ხარჯების და სხვა აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას. მიზანი წარმოადგენს წლის ნებისმიერ პერიოდში სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფას დაგეგმილი მატჩებისათვის.* |
| მოსალოდნელი შედეგი | *სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.* |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კ** | 05 01 03 |
| პროგრამის დასახელება: | **სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბილიტაცია** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **100.0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამის მიზანია ქ.ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სასპორტო სკოლის საჭიდაო მოედნის იატაკის მოწყობა **100, 0 ათასი** ლარი. ისარგებლებს და ივარჯიშებს 500 ბენეფიციარი, ასევე მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული ობიექტით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი უზრუნველყოფს შეუფერხებლად უმასპინძლოს გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 02 01 |
| პროგრამის დასახელება: | **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' ა(ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ243918070). |
| დაფინანსება | **155,5** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | **პროგრამის მიზანი:** სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა. **პროგრამის ძირითადი მიმართულებები:** 3 მარტს–დედის დღის, 8 მარტს–ქალთა საერთაშორისო დღის, 9 აპრილს–ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის, 26 მაისს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები. სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება. ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში. განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის გაზრდა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:<br>➢ 3 - 8 მარტს, დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;<br>➢ 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;<br>➢ 9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ვეტერანებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;<br>➢ ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;<br>➢ სასწავლო წლის დაწყება- დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;<br>➢ 1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ბავშვებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულის "ლესიაობის" ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;<br>➢ ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;<br>➢ ლიტვაში, დაძმობილებულ ქალაქ რადვილინსკში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;<br>➢ ბელორუსიაში, დაძმობილებულ ქალაქ გორკში, ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;<br>➢ ლატვიაში, დაძმობილებულ ქალაქ ბაუსკაში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;<br>➢ პოლონეთში, დაძმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;<br>➢ შვედეთში, დაძმობილებულ ქალაქ ჰედემორაში, ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;<br>➢ თეატრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;<br>➢ ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;<br>➢ 27 სექტემბერი-აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;<br>➢ სახალხო დღესასწაულის ,,ხაშურქალაქობა 2022" ჩატარების ორგანიზება;<br>➢ ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;<br>➢ შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია;<br>➢ საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწყობა;<br>➢ ქართული შოუ–ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა;<br>➢ 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო–რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება;<br>➢ 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;<br>➢ შობა–ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;<br>➢ დ. ყიფიანის სახლმუზეუმის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიება;<br>➢ სხვადასხვა დონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა; |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნა დღესასწაულების მიმართ.<br>უცხო ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მათი წარმომადგენლების ინტერესის ზრდა ქართული კულტურის მიმართ.<br>ქართული კულტურისა და მართლმადიდებლური ტრადიციების გაღრმავება.<br>**შეფასების ინდიკატორი:** ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;<br>კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.<br>მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 02 02 02 |
| პროგრამის დასახელება: | **სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანებას (ს/კ 443864267). |
| დაფინანსება | **327.0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | **პროგრამის მიზანი** *ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.* **პროგრამის არსი** *პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს 2021 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა 100%-იან დაფინანსებას, სასწავლო და არასასწავლო პერიოდში. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.* |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება. **შეფასების ინდიკატორი** მოსწავლეთათვის მუსიკალური განათლების მიღება; სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; მოწვეული სტუმრების რაოდენობა; სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 02 03 02 |
| პროგრამის დასახელება: | **ბიბლიოთეკების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას (ს/კ243918098). |
| დაფინანსება | **192.50** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ქვეპროგრამას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, დაბა სურამში, სოფელ ხცისში და სოფელ ცხრამუხაში განთავსებული ბიბლიოთეკები. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება როგორც ადგილზე, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით, საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმეციო ბაზისთვის, ელექტრონული მეთოდიკის შექმნა და წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით. |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 02 04 02 |
| პროგრამის დასახელება: | **კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ 243918070). |
| დაფინანსება | **358.40** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება, რომელიც მოიცავს შემდეგ ობიექტებს: თოჯინების თეატრს, საქალაქო კულტურის ცენტრს, სურამის და ქვიშხეთის კულტურის ცენტრებს და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს. **პროგრამის ძირითადი მიმართულებები:** ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია. მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით. სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია. ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის. შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა. შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა .შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა. ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება. თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა. ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ხელოვნების დარგების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება. **შეფასების ინდიკატორი:** ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა; საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე–ახალგაზრდების რაოდენობა; შემოქმედი ბავშვების მიერ ორგანიზებული პროექტების რაოდენობა; კმაყოფილი მოსახლეობა. მოსახლეობისათვის მიმზიდველი სახელოვნებო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, პოპულარიზაცია, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 02 05 01 |
| პროგრამის დასახელება: | **მუზეუმების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური'' და ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებას (ს/კ 243918089). |
| დაფინანსება | **257.20** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი. **პროგრამის მიზანი** ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება. **პროგრამის ძირითადი მიმართულებები** კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია; საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა; მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია; მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია; სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება; სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია; ტურისტული პოტენციალის გაზრდა. |
| მოსალოდნელი შედეგი | აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები. დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება. მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება. ტურისტული პოტენციალის გაზრდა. **მოსალოდნელი შედეგი**: სამუზეუმო ექსპონატების მოვლა–პატრონობა; მუზეუმში დაცული ექსპონატების დამთვალიერებელთა რაოდენობა; ორგანიზებულად განხორციელებული პროექტების და მათში მონაწილეთა რაოდენობა. ტურისტთა რაოდენობის ზრდა. დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და დაინტერესების ზრდა. |

| | |
|---|---|
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 05 02 06 |
| პროგრამის დასახელება: | საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ ხაშურის მოამბეს (ს/კ 443860984). |
| დაფინანსება | **45,98** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ***პროგრამის მიზანი*** გაზეთ „ხაშურის მოამბის" ფუნქციონირების ხელშეწყობა; ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება; მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა; შემოქმედებითი და ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა. ***პროგრამის არსი*** *პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს* ა.ა.ი.პ გაზეთ „*ხაშურის* მოამბის" დაფინანსებას წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების მიზნით. „ხაშურის მოამბის" რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის გამოცემას კვირაში ერთხელ და ლიტერატურული დამატების გამოცემას თვეში ერთხელ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის - „ხაშურის მოამბის" ყოველკვირეული გამოცემის დაფინანსება. |
| მოსალოდნელი შედეგი | . **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი** ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დროულად მიიღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე. **შეფასების ინდიკატორი** ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა საზოგადოებრივ აქტივობებში. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 02 07 |
| პროგრამის დასახელება: | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური |
| დაფინანსება | **130,0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთი ტაძრის მიმდებარე ტერიტორაზე განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br>რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარებით ხელი ეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში. ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში მრავალი ისტორიული და რელიგიური კერა არსებობს, რომლებიც შესაბამის დახმარებას და მხარდაჭერას საჭიროებენ ფინანსური კუთხით. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური კერების მშენებლობის, აღდგენა/რეაბილიტაციის ხელშეწყობა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარება. პროგრამით ისარგებლებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანიზაცია/დაწესებულება რომელიც შემოიტანს შესაბამის განცხადებას. |
| მოსალოდნელი შედეგი | აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრიმი ტურისტების გაზრდილი რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების მშენებლობა, აღდგენა/რეაბილიტაცია, რესტავრაცია 1. რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა/მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. 2. ტურისტების/მრევლის რაოდენობა. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 05 03 |
| პროგრამის დასახელება: | **ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| დაფინანსება | **38.50** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | **პროგრამის მიზანი:** ახალგაზრდულ ღონისძიებათა ორგანიზება. **პროგრამის ძირითადი მიმართულებები:** არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ–სემინარების კონფერენციების, ფორუმების მოწყობა ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებზე). სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დახმარება და ხელშეწყობა განათლების მიღებაში. ხელშეწყობა საერთაშორისო ურთიერთობის გასაღრმავებლად. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ახალგაზრდების ნიჭის თვითრეალიზების ხელშეწყობა. ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა. ახალგაზრდა თაობაში შრომის უნარ–ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა. ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება.<br>განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები.პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:<br>➢ ინტელექტუალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა და გამოვლენილ გამარჯვებულებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ პროექტ ,,ეტალონში" მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობა და გამარჯვებულზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ პროექტის ,,ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის" ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები (ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მარათონი სირბილში, ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების აქცია);<br>➢ 2022 წელს 100%-იანი დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების დაჯილდოვება;<br>➢ შშმ პირთათვის ღონისძიების ორგანიზება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობის ხარჯები;<br>➢ ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯები;<br>➢ სხვადასხვა დონის ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და წარმატებულ ახალგაზრდებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;<br>➢ საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება; |
| მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:** ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება; ახალგაზრდების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა; ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. **შეფასების ინდიკატორი:** ახალგაზრდების ჩართულობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა; პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა. ახალგაზრდობის განთლების ხელშეწყობა. |

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ადამიანზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის მთავარი მიღწევა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა ერთერთ პრიორიტეტად მიიჩნევს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვას მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, სხვადასხვა დაავადებების პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1257,17** | **1228,3** | **1125.0** |
| **06 01** | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **102,25** | **107,9** | **103.00** |
| **06 02** | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **1154,47** | **1120,4** | **1022.00** |
| 06 02 01 | ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა | 0,5 | 2,0 | 2,0 |
| 06 02 02 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა | 34,08 | 38,2 | 38,2 |
| 06 02 03 | სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა უფასო მომსახურების პროგრამა | 20,38 | 0,0 | 0,0 |
| 06 02 04 | მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაცო ღონისძიებები | 12,16 | 30 | 0 |
| 06 02 05 | ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები ომსი დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები | 15,9 | 20,6 | 20,6 |
| 06 02 06 | საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები | 8,63 | 30,0 | 30,0 |
| 06 02 07 | სარიტუალო მომსახურება | 4,5 | 5,0 | 5,0 |
| 06 02 08 | უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა | 121,28 | 160,09 | 150 |
| 06 02 09 | მთიანი სოფლის საჯარო სკოლებს პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა | 10,53 | 24,0 | 24,0 |
| 06 02 10 | მოქალაქეთა სოცილური დაცვა | 926,51 | 810,5 | 752,2 |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 06 01 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.<br>ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ |
| დაფინანსება | **103.00** ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე და შესაბამისად. მისი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება. **სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა** მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში გეგმაზომიერად განხორციელდეს ღონისძიებები სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობის შემოწმების მიზნით; ქმედითი კონტროლი დაწესდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულ აღმოფხვრაზე. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. საგანმანათლებო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ხელი შეეწყოს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში (მათ შორის უმწეოთა უფასო სასადილოში) ზედამხედველობა დაწესდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობაზე. **პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები** [illegible]<br>თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტუბერკულოზის, შიდსის პროფილაქტიკის მიზნით, საცხოვრებელი ან/და სწავლების ადგილების მიხედვით, ჩატარდეს ახალგაზრდობის სანგანათლების ღონისძიებები (ლექციების, საუბრების ჩატარება, თემატური ,,მრგვალი მაგიდების“ მოწყობა, საგაზეთო სტატიების გამოქვეყნება; ამ საკითხებზე თვალსაჩინოების საშუალებებისა და სპეციალური ლიტერატურის (ბროშურები) გავრცელება).<br>გატარდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევების, C ჰეპატიტის აივ ინფექციის შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ღონისძიებები“. |
| მოსალოდნელი შედეგი | ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები. **პროექტის მიღების მიზანი:**<br>სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. **პროექტის ძირითადი არსი:**<br>სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კ | 06 02 02 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. |
| დაფინანსება | **38,2** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უწყვეტი აღზრდის, სწავლების პროცესისა და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, შრომითი ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა. **პროექტის მიღების მიზანი:**<br>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უწყვეტი აღზრდის, სწავლების პროცესისა და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, შრომითი ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა. **პროექტის ძირითადი არსი:**<br>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა (25 მოსწავლე) უწყვეტი აღზრდის, სწავლების პროცესისა და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, შრომითი ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა ს ს ი პ ხაშურის N2 საჯარო სკოლის "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის"უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველყოფაშეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვარტალური დაფინანსების განაცხადის შესაბამისად, ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად. საკითხის ადმინისტრირებას აწარმოებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური. |
| მოსალოდნელი შედეგი | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის"უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველყოფა |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 06 02 05 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება. ომში დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებები** |
| **პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. |
| დაფინანსება | **20,6** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | **ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დახმარება** მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდი 958 100); 2.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდები (კოდები–958 311; 958 312; 958 313); ბ).2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ინვალიდები (კოდები–958 811; 958 812; 958 813)<br>3.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრი(კოდი–958 501); ბ.2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრი (კოდი–958 502); 1) ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან–9 მაისთან დაკავშირებით– 300 ლარი (პ1); 2) საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან–26 მაისთან დაკავშირებით – 300 ლარი(პ;2;3); ბენეფიციართა კონტიგენტს და მათ საბანკო (საპენსიო) ანგარიშებს აზუსტებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური |
| მოსალოდნელი შედეგი | ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და დაღუპულთა ოჯახების მატერიალური თანადგომა. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 06 02 07 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სარიტუალო მომსახურება** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი: | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. |
| დაფინანსება | **5,0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | . **მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება** ომის ვეტერანები ვეტერანის მოწმობის მიხედვით: ა)მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდები–958 100, 958 111; 958 112; 958 113); ბ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები (კოდები– 958 300; 958 311; 958 312; 958 313); გ)სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები (კოდები–958 200; 958 211; 958 212;958 213); დ)2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეები (კოდები-958 800; 958 811; 958 812; 958 813) 2)დევნილის მოწმობის მიხედვით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები; 3)უპატრონო მიცვალებულები; 250 ლარი – დაკრძალვის ხარჯებისათვის; განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; .3.ვეტერანის ან დევნილის მოწმობის ასლი; 4.ცნობა გარდაცვალების შესახებ; 5. დაკრძალვის ხარჯების მიმღები პირის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები; 6. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის<br>წარმომადგენლის ინფორმაცია გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ. |
| მოსალოდნელი შედეგი | სარიტუალო მომსახურეობით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი. |

| პროგრამის კლასიფიკაციის კ | 06 02 08 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. |
| დაფინანსება | **150,0** ათასი ლარი |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში |
| მოსალოდნელი შედეგი | უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება 180 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა |

| პროგრამის კლასიფიკაციის კ | 06 02 09 |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა** |
| პროგრამაზე პასუხისმგებელი და | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. |
| დაფინანსება | **24,0** ათასი ლარი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობის განხორციელება. ექვსი კონკრეტული სკოლის წაღვლის, ქემფრის, ფლევის, ტკოცის, ბროლოსნის, ცოცხნარის პედაგოგები, პროგრამის ცხრილით გათვალისწინებული მგზავრობის ღირებულებას მიიღებენ ყოველი თვის ბოლოს-შესაბამისი სკოლის დირექციის ცნობის საფუძველზე, რითაც დასტურდება პედაგოგის მიერ კვირეული დატვირთვით განსაზღვრული საათების შესრულება.ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობაქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების 44 პედაგოგი (დანართის შესაბამისად). **ბ) პროექტის მიღების მიზანი:** ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობის განხორციელება. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების სასწავლო პროცესის ხელშეწყობა და პედაგოგების დაინტერესება. |

"პროგრამის
კლასიფიკაციის კოდი:" 06 02 10

პროგრამის დასახელება: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა

"პროგრამაზე პასუხისმგებელი
და განმახორციელებელი:"ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

დაფინანსება 810,5 ათასი ლარი

პროგრამის მიზანი და აღწერა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიცი–პალური პროგრამა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დამუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობისფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მკურნალობის,მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების თანადაფინანსება; ერთჯერადი ფულადი დახმარება. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელთა მკურნალობის/გამოკვლევის/მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება ან სრულად არ ფინანსდება დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახ. პროგრამით; უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, ხელმოკლე და სოცილურად მოწყვლადი მოსახლეობა (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სტუდენტები, მოსწავლეები, დევნილები, ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები, ხანძარი ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

1. ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით მომსახურეობის პროგრამა 1, ეპილეფსიით დაავადებულები; ბ. ონკოლოგიური ავადმყოფები; გ. დაუნის სინდრომით დაავადებულები; დ.ინსულტით დაავადებულები; ე.ჰემოფილიით დაავადებულები; ვ.ღვიძლის ციროზით დაავადებულები; ზ.ავადმყოფები სისტემური დაავადებებით; თ.ეპიდემიის შედეგად დაავადებულები; კ.პარკინსონიზმით დაავადებულები; ლ.ბრონქული ასთმით დაავადებულები; სოციალური სტატუსი (ქულა) 1. ა-ი 0-100 000 კ-ლ -0 მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში. 2.კ-ლ მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 300 ლარის ფარგლებში. 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV 100/ა 4.ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით აფთიაქიდან 6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან

2. ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების/მოზარდების რეაბილიტაცია სქოლიოზით დაავადებული ბავშვები/მოზარდები, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები (30 ბავშვი); 0–100 000 სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 300 ლარის ფარგლებში. 1.განცხადება მერის სახელზე; 2.მაძიებლის/წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; 3.ბავშვის/მოზარდის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი; 4. ფორმა №IV-100/ა; 5,0ანგარიშფაქტურა სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან; 6.ამონაწერი სოციალურად ად დაუცველთა ბაზიდან;

3. ენდოკრინოლოგიური დაავადებებით დაავადებულ ბავშვთა/მოზარდთა დახმარება. ენდოკრინოლოგიური დაავადების, რომელიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით,მქონე ბავშვები/მოზარდები (10 ბავშვი); 0-100 000 მკურნალობის ღირებულების დაფინანსება 100 % –ით, მაგრამ არა უმეტეს 300 ლარისა; 1. განცხადება მერის სახელზე; 2 მაძიებლის /წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; 3.ბავშვის/მოზარდის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი; 4. ფორმა№IV-100/ა; 5. ექიმის დანიშნულება; 6. წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით ანგარიშ-ფაქტურა/სამედიცინო დაწესებულებიდან; 7.ამონაწერი სოციალურა დაუცველთა ბაზიდან;

4. ფენილკეტონურიით დაავადებული ავადმყოფების დახმარება ფენილკეტონურიით დაავადებული ცილაგამოცლილი კვების პროდუქტების ღირებულების თანადაფინანსება 500 ლარის ფარგლებში 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4.ექიმის დანიშნულება; 5. სპეციალიზებული მიმწოდებელი ორგანიზაციის ცნობა–დანიშნული ცილაგამოცლილი პროდუქტების ღირებულებისა და ამ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;

5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება

5, ა). მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები; ბ.)მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებენ და/ან საჭიროებენ მომვლელს; გ) შშმ ბავშვები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან და საჭიროებენ მომვლელს; 0–100 000 - , 300 ლარი მათ შორის მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. საექიმო–საექსპერტო კომისიის დასკვნის ასლი; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით აფთიაქიდან 6. .ამონაწერი სოციალურა დაუცველთა ბაზიდან; 7. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

6. დედ-მამით ობოლი ბავშვების მოზარდების დახმარება 18. .წლამდე (ჩათვლით) დედ–მამით ობოლი ბავშვები/მოზარდებია) ბავშვთა საერთაშორისო დღესთან – 1 ივნისთან დაკავშირაბით–300 ლარი; ბ)ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის/კოლეჯის/ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სრული კურსის დასრულებასთან დაკავშირებით– 500 ლარი. მეურვის(მზრუნველის) განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ბავშვის/მოზარდის პირადობის/ დაბადების მოწმობის ასლი; 4.ცნობა სწავლის სრული კურსის დამთავრებასთან დაკავშირებით; 5. ბავშვის/მოზარდის მეურვის საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

7 .ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 1.ა)ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას; ბ)ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ–მაგნიტურ–რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

2.ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

3.ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას; 1. 0–100 000 .დაუფინანსებელი თანხის 50% , მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა; 2.დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილობას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია; 3. დაუფინანსებელი თანხის 50% , მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი;

3. ფორმა №IV-100/ა; 4. . წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით

სამედიცინო დაწესებულებიდან; 5. .ამონაწერი სოციალურა დაუცველთა ბაზიდან; (პ.1;3;); 6. .საყოველთაო ჯანდაცვის სახ. პროგრამის მართვის დეპარტამენტის ან სადაზღვევო ორგანიზაციის წერილი (გადაწყვეტილება) ავადმყოფის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მოცულობის შესახებ."

8. ხელმოკლე სტუდენტების დახმარებაა) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის

ხელმოკლე სტუდენტები; ბ)საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში, აგრეთვე ,საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა შვილები; (სავარაუდ კონტინგენტი – 160 სტუდენტი)ა )0–65 000; ბ)0, ) სწავლის ქირის დაფინანსება 800 ლარის ფარგლებში 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3.სტუდენტის ბილეთის ასლი (ან ცნობა სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ); 4.ანგარიშ-ფაქტურა გადასახდელი სწავლის ქირის ოდენობის შესახებ; 5.ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან; 6.მშობლის დაღუპვის გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები (პ.;ბ");

9. ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დახმარება 1).მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდი 958 100);

2.ა)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდები (კოდები–958 311; 958 312; 958 313);

ბ).2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ინვალიდები (კოდები–958 811; 958 812; 958 813)

3.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრი(კოდი–958 501);

ბ.2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრი (კოდი–958 502); 1) ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან–9 მაისთან დაკავშირებით– 300 ლარი (პ1);

2) საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან–26 მაისთან დაკავშირებით – 300 ლარი(პ;2;3); ბენეფიციართა კონტიგენტს და მათ საბანკო (საპენსიო) ანგარიშებს აზუსტებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველ-

ლყოფის სამსახური.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ვეტერანთა დახმარება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები(კოდები–958 100, 958 111; 958 112;958 113); მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში განცხადება მერის სახელზე;

2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ვეტერანის მოწმობის ასლი; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშფაქტურა კალკულაციით აფთიაქიდან;.

აფთიაქიდან;.

**10. ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები; ბ)ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლის ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს ხანძარმა არსებითი ზიანი მიაყენა ა)სახლის აღდგენისათვის საჭირო მასალების ღირებულება–არა უმეტეს 3000 ლარისა;

ბ) 500 ლარი;1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3.დასკვნა ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ხარისხის შესახებ; 4.საბანკო დაწესებულაბაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები; შენიშვნა : * – საკითხზე დასკვნას ამზადებს ეკონომიკური განვითარების სამსახური, სახანძრო–სამაშველო სამსახურთან და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად

**11. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები(კოდები–958 100, 958 111;958 112;958 113); მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ვეტერანის მოწმობის ასლი; 4. ექიმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშფაქტურა კალკულაციით

აფთიაქიდან;.

**12. ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარება** ასი და მეტი წლის უხუცესები 500 ლარი, მათ შორის 100 ლარი მედიკამენტებისათვის 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი. 3. ექიმის დანიშნულება. 4. წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით აფთიაქიდან. 5. საბანკო დაწესებულაბაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

**13. მრავალშვილიანი(ოთხი და მეტი შვილი) დედების დახმარება** მრავალშვილიანი დედებია) მიმდინარე საბიუჯეტო წელს დაბადებული მე–4 შვილზე 400 ლარი; მე–5, მე–6 და ა.შ. შვილზე 500 ლარი; ბ) დედის დღესთან დაკავშირებით – 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარი.განცხადებამერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი;

3. ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლი; 4.საბანკო დაწესებულაბაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

**14. კვების პროდუქტების სადღესასწაულო** პაკეტები ა)მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილთა ოჯახები; ბ)სოციალურად დაუცველი ოჯახებია) – 0 ბ)0 – 20 000 კვების პროდუქტების პაკეტები 50 ლარის ფარგლებში ბენეფიციართა კონტინგენტს აზუსტებს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური; კვების პროდუქტების პაკეტში შესატანი პროდუქტების ჩამონათვალსა და საბაზრო ღირებულებას აზუსტებს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

**15. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების** რესოციალიზაცია 2019 წლის 1 იანვრიდან განვლილ პერიორში სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირები,რომლების არ არიან დასაქმებული და მათი ოჯახები განიცდიან ეკონომიურ სიდუხჭირესფულადი დახმარება 200 ლარის ფარგლებში 1. განცხადება მერის სახელზე; 2.პირადობის მოწმობის ასლი; 3.ცნობა სასჯელაღსრულებიდან განთავისუფლებულის შესახებ; 4. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები; 5.ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია;

**16. თირკმლის დიალიზზე მყოფი ავადმყოფების დახმარება ფულადი სოციალური დახმარება** ფულადი დახმარება 500 ლარის ფარგლებში1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ა; 4..საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

**17. უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი ბინის ქირით უზრუნველყოფა** ხაშურში, სააკაძის ქ. 2-დან გამოსახლებული (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს შენობა) და უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები 180 ლარამდე თითოეული ოჯახისათვის განცხადება მერის სახელზე; 2.პირადობის მოწმობის ასლი; 3. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები; 4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 5. ხელშეკრულება ბინის ქირავნობის შესახებ.

**17 მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა** სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელები 1 კმ-ის სავარაუდო ღირებულება 1.20 ლარი ბენეფიციართა კონტინგენტს აზუსტებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური. ა(ა)იპ-ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება; ასანაზღაურებელ თანხას აზუსტებს საბიუჯეტო სამსახური.

პროგრამის რეგულირების სფერო მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიურიგამოკვლევების თანადაფინანსება; ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბენეფიციართა სავარაუდო ოდენობა 2000 პირი/ოჯახი.

მოსალოდნელი შედეგი მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება დახმარება გაწეული ბენეფიციარები

თავი III

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | | | 2022 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | სულ | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | **ხაშურის მუნიციპალიტეტი** | **22860,13** | **28346,58** | **7443,8** | **20902,77** | **21303.10** | **0,0** | **21303.10** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **164** | **164** | **0,0** | **164** | **165** | **0,0** | **165** |
| | ხარჯები | 10553,33 | 12912,34 | 126,91 | 12785,43 | 14267.98 | 0,0 | 14267.98 |
| | შრომის ანაზღაურება | 1729,62 | 2043.6 | 0,0 | 2043.6 | 2366.28 | 0,0 | 2366.28 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12217,12 | 15189,24 | 7316,89 | 7872,35 | 6774.03 | 0,0 | 6774.03 |
| | ვალდებულებების კლება | 89,68 | 245.0 | 0,0 | 245.0 | 261.10 | **0,0** | 261.10 |
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **2515,55** | **3462,9** | **0,0** | **3462,9** | **3944.32** | 0,0 | **3944.32** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 164 | 164 | 0,0 | 164 | 165 | 0,0 | 165 |
| | ხარჯები | 2414,87 | 3166,2 | 0,0 | 3166,2 | 3631.52 | 0,0 | 3631.52 |
| | შრომის ანაზღაურება | 1729,62 | 2043.6 | 0,0 | 2043.6 | 2366.28 | **0,0** | 2366.28 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,99 | 51,7 | 0,0 | 51,7 | 51,7 | 0,0 | 51,7 |
| | ვალდებულებების კლება | 89,68 | 245.0 | 0,0 | 245.0 | 261.10 | 0,0 | 261.10 |
| **01 01** | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა** | **2347,14** | **2834.7** | **0,0** | **2834.7** | **3147.38** | 0,0 | **3147.38** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 164 | 164 | 0,0 | 164 | 165 | **0,0** | 165 |
| | ხარჯები | 2336,14 | 2783.0 | 0,0 | 2783.0 | 3095.68 | 0,0 | 3095.68 |
| | შრომის ანაზღაურება | 1729,62 | 2043.6 | 0,0 | 2043.6 | 2366.28 | 0,0 | 2366.28 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,99 | 51,7 | 0,0 | 51,7 | 51,7 | 0,0 | 51,7 |
| **01 01 01** | **მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **608,46** | **707.4** | **0,0** | **707.40** | **815.57** | **0,0** | **815.57** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 26 | 26 | 0,0 | 26 | 27 | **0,0** | 27 |
| | ხარჯები | 607,49 | 692.4 | 0,0 | 692.4 | 800.57 | 0,0 | 800.57 |
| | შრომის ანაზღაურება | 447,8 | 480.0 | 0,0 | 480.0 | 588.17 | 0,0 | 588.17 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,97 | 15 | 0,0 | 15 | 15 | 0,0 | 15 |
| **01 01 02** | **მუნიციპალიტეტის მერია** | **1626,07** | **2002.3** | **0,0** | **2002.3** | **2182,47** | **0,0** | **2182,47** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **128** | **128** | **0,0** | **128** | **128** | 0,0 | **128** |
| | **ხარჯები** | **1616,78** | **1965.6** | **0,0** | **1965.6** | **2145,77** | 0,0 | **2145,77** |
| | შრომის ანაზღაურება | 1187,96 | 1470.0 | 0,0 | 1470.0 | 1660.18 | 0,0 | 1660.18 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,29 | 36,7 | 0,0 | 36,7 | 36,7 | | 36,7 |
| **01 01 03** | **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური** | **112,61** | **125** | **0,0** | **125** | **149,34** | **0,0** | **149,34** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10 | 10 | 0,0 | 10 | 10 | 0,0 | 10 |
| | ხარჯები | 111,87 | 125 | 0,0 | 125 | 117,94 | 0,0 | 117,94 |
| | შრომის ანაზღაურება | 93,86 | 93,6 | 0,0 | 93,6 | 117,94 | 0,0 | 117,94 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,74 | 0 | 0,0 | 0 | 0 | 0,0 | 0 |
| **01 02** | **საერთო დანიშნულების ხარჯები** | **168,41** | **628,2** | **0,0** | **628,2** | **796,94** | **0,0** | **796,94** |
| | ხარჯები | 78,73 | 383,2 | 0,0 | 383,2 | 535.84 | 0,0 | 535.84 |
| | პროცენტი | 77,01 | 375 | 0,0 | 375 | 504.24 | 0,0 | 504.24 |
| | სხვა ხარჯები | 1,72 | 8,2 | 0,0 | 8,2 | 31,6 | 0,0 | 31,6 |
| | ვალდებულებების კლება | 89,68 | 245.0 | 0,0 | 245.0 | 261.1 | 0,0 | 261.1 |
| **01 02 01** | **სარეზერვო ფონდი** | **0** | **6,6** | **0,0** | **6,6** | **30** | **0,0** | **30** |
| | ხარჯები | **0** | 6,6 | 0,0 | 6,6 | 30 | 0,0 | 30 |
| **01 02 02** | **წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების თანხები** | **1,72** | **1,6** | **0,0** | **1,6** | **1,6** | 0,0 | **1,6** |
| | ხარჯები | 1,72 | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| | სხვა ხარჯები | 1,72 | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| **01 02 03** | **მგფ და სხვა ვალდებულებები** | **166,69** | **620** | **0,0** | **620** | **765,34** | **0,0** | **765,34** |
| | ხარჯები | 77,01 | 375 | 0,0 | 375 | 504.24 | 0,0 | 504.24 |
| | პროცენტები | 77,01 | 375 | 0,0 | 375 | 504.24 | 0,0 | 504.24 |
| | ვალდებულებები | 89,68 | 245.0 | 0,0 | 245.0 | 261.1 | 0,0 | 261.1 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **12581,22** | **15493,2** | **7215,2** | **8278** | **8956.85** | 0,0 | **8956.85** |
| | ხარჯები | 1318,17 | 1779,9 | 0 | 1779,9 | 2334.53 | **0,0** | 2334.53 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11263,05 | 13713,3 | 7215,2 | 6498,1 | 6622.33 | 0,0 | 6622.33 |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა** | **8180,53** | **9694,3** | **5568,8** | **4125,5** | **5037.34** | 0,0 | **5037.34** |
| | ხარჯები | 308,9 | 532,7 | 0,0 | 532,7 | 387.80 | 0,0 | 387.80 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7871,63 | 9161,6 | 5568,8 | 3592,8 | 4649.58 | 0,0 | 4649.58 |
| **02 01 01** | **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია** | **7882,21** | **9269,1** | **5568,8** | **3700,3** | **4649.58** | **0,0** | **4649.58** |
| | ხარჯები | 11,88 | 156,8 | 0,0 | 156,8 | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7870,33 | **9112,3** | **5568,8** | 3543,5 | 4649.58 | **0,0** | 4649.58 |
| **02 01 02** | **შიდა გზების მოვლა-შენახვა** | **273,9** | **340** | **0,0** | **340** | **287.80** | 0,0 | **287.80** |
| | ხარჯები | **273,9** | 340 | 0,0 | 340,0 | 287.80 | 0,0 | 287.80 |
| **02 01 03** | **თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის [illegible] და საგზაო ნიშნების მოწესრიგების ხარჯები** | **24,42** | **85,2** | **0,0** | **85,2** | **100** | 0,0 | **100,0** |
| | ხარჯები | 23,12 | 36 | 0,0 | 36 | 100 | 0,0 | 100,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,3 | 49,2 | 0,0 | 49,2 | 0,0 | **0,0** | 0,0 |
| **02 02** | **წყლის სისტემები** | **830,41** | **1084,3** | **182,3** | **902** | **272.80** | 0,0 | **272.80** |
| | ხარჯები | 66,4 | 150.0 | 0,0 | 150 | 272.80 | 0,0 | 272.80 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 764,01 | 934,3 | 182,3 | 752 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 02 01** | **წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა** | **820,48** | **1014,3** | **182,3** | **832** | **272.80** | 0,0 | **272.80** |
| | ხარჯები | 66,4 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 272.80 | **0,0** | 272.80 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 754,09 | 864,3 | 182,3 | 682,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 02 01 01** | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია** | **797,64** | **939,3** | **182,3** | **757,0** | **75,0** | 0,0 | **75** |
| | ხარჯები | 43,55 | 75 | 0 | 75,0 | 75,0 | 0,0 | 75 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 754,09 | 864,3 | 182,3 | 682,0 | 0,0 | 0,0 | 0 |
| **02 02 01 02** | **წყლის სათავე ნაგებობის მოვლა-შენახვა** | **22,85** | **75,0** | **0,0** | **75,0** | **97.80** | **0,0** | **97.80** |
| | ხარჯები | 20 | 75,0 | 0,0 | 75,0 | 97.80 | 0,0 | 97.80 |
| **02 02 02** | **საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია** | **9,93** | **70,0** | **0,0** | **70,0** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,93 | 70,0 | 0,0 | 70,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 02 02 01** | **საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია** | **9,93** | **0.0** | **0,0** | **0.0** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,93 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | **0,0** | 0,0 |
| **02 02 02 02** | **სანიაღვრე სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია** | **0** | **70** | **0,0** | **70** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | **0** | 70 | 0,0 | 70 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 03** | **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა** | **741,89** | **902** | **0,0** | **902** | **1236.13** | 0,0 | **1236.13** |
| | ხარჯები | 741,09 | 810,8 | 0,0 | 810,8 | 1236.13 | 0,0 | 1236.13 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,8 | 91,2 | 0,0 | 91,2 | 0,0 | **0,0** | 0 |
| **02 03 01** | **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** | **387,65** | **677** | **0,0** | **677** | **928.43** | 0,0 | **928.43** |
| | ხარჯები | 386,85 | 585,8 | 0,0 | 585,8 | 928.43 | 0,0 | 928.43 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,8 | 91,2 | 0,0 | 91,2 | 0 | 0,0 | 0 |
| **02 03 02** | **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა** | **354,24** | **225** | **0,0** | **225** | **307.70** | 0,0 | **307.70** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | **354,24** | 225 | 0,0 | 225 | 307.70 | **0,0** | 307.70 |
| **02 04** | **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** | **128,15** | **207,9** | **0** | **207,9** | **300** | 0,0 | **300** |
| | ხარჯები | **128,15** | 207,9 | 0,0 | 207,9 | 300 | 0,0 | 300 |
| **02 05** | **კეთილმოწყობა** | **731,96** | **671,3** | **0,0** | **671,3** | **1410.55** | 0,0 | **1410.55** |
| | ხარჯები | 54,57 | 74.0 | 0,0 | 74.0 | 1410.55 | 0,0 | 1410.55 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 677,39 | 597,3 | 0,0 | 597,3 | 0 | **0,0** | 0 |
| **02 05 01** | **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია** | **731,96** | **671,3** | **0,0** | **671,3** | **1410.55** | 0,0 | **1410.55** |
| | ხარჯები | 54,57 | 74.0 | 0,0 | 74.0 | 1410.55 | 0,0 | 1410.55 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 677,39 | 597,3 | 0,0 | 597,3 | 0 | 0,0 | 0 |
| **02 05 01 01** | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების, სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია** | **478,5** | **339,3** | **0,0** | **339,3** | **1000.0** | 0,0 | **1000.0** |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0,0 | 0 | 0 | **0,0** | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 478,5 | 339.3 | 0,0 | 339.3 | 1000.0 | 0,0 | 1000.0 |
| **02 05 01 02** | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია** | **156,6** | **258** | **0,0** | **258** | **322.75** | 0,0 | **322.75** |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0,0 | 0 | 0 | 0,0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 156,6 | 258 | 0,0 | 258 | 322.75 | 0,0 | 322.75 |
| **02 05 01 03** | **ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები** | **36,57** | **30.0** | **0,0** | **30.0** | **30,0** | **0,0** | **30** |
| | ხარჯები | **16,07** | 30.0 | 0,0 | 30.0 | 30,0 | 0,0 | 30 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 20,5 | 0,0 | 0,0 | 0 | 0,0 | 0,0 | 0 |
| **02 05 01 04** | **სასაფლაოების მოვლა პატრონობა** | **38,49** | **44,0** | **0,0** | **44** | **57.80** | 0,0 | **57.80** |
| | ხარჯები | 38,49 | 44,0 | 0,0 | 44 | 57.80 | 0,0 | 57.80 |
| **02 05 01 05** | **სასაფლაოების შემოღობვა** | **21,79** | **0.0** | **0,0** | **0.0** | **0** | **0,0** | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 21,79 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0,0 | 0,0 |
| **02 06** | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები** | **1310,21** | **1273,8** | **998,4** | **275,4** | **0.00** | 0,0 | **0.00** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1310,21 | 1273,8 | 998,4 | 275,4 | 0.00 | 0,0 | 0.00 |
| **02 07** | **საპროექტო სახარჯთაღრიიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები** | **613,74** | **595,83** | **0** | **595,83** | **400,0** | 0,0 | **400,0** |
| | ხარჯები | 19,06 | 4,49 | 0 | 4,49 | 50,0 | **0,0** | 50,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 594,68 | 591,34 | 0 | 591,34 | 350,0 | 0,0 | 350,0 |
| **02 08** | **ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია** | **44,32** | **1063,7** | **465,6** | **598,1** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 44,32 | 1063,7 | 465,6 | 598,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 09** | მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 300,0 | **0,0** | 300,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 300 | 0,0 | 300,0 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1584,3** | **1429** | **0,0** | **1429** | **1821,85** | 0,0 | **1821,85** |
| | ხარჯები | 1582,74 | 1429 | 0,0 | 1429 | 1821,85 | 0,0 | 1821,85 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,56 | 0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | **0,0** | 0,0 |
| **03 01** | **ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებები** | **1354,97** | **1016** | **0,0** | **1016** | **1373,07** | 0,0 | **1373,07** |
| | ხარჯები | 1354,97 | 1016 | 0,0 | 1016 | 1373,07 | 0,0 | 1373,07 |
| **03 01 01** | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა** | **906,99** | **1016** | **0,0** | **1016** | **1045,2** | 0,0 | **1045,2** |
| | ხარჯები | 906,99 | 1016 | 0,0 | 1016 | 1045,2 | 0,0 | 1045,2 |
| **03 01 02** | **მდინარეების და არხების წმენდა** | **447,98** | **0** | **0,0** | **0,0** | **327,87** | **0,0** | **327,87** |
| | ხარჯები | **447,98** | 0.0 | 0,0 | 0.0 | 327,87 | 0,0 | 327,87 |
| **03 02** | **კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში** | **0,0** | **97.6** | **0,0** | **97.6** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | ხარჯები | 0,0 | 97,6 | 0,0 | 97.6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **03 03** | **მწვანე ნარგაობების მოვლა-პატრონობა და განვითარება** | **170,23** | **199,2** | **0,0** | **199,2** | **270,9** | **0,0** | **270,9** |
| | ხარჯები | 168,67 | 199,2 | 0,0 | 199,2 | 270,9 | 0,0 | 270,9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,56 | 0 | 0,0 | 0,0 | 0 | 0,0 | 0 |
| **03 04** | **უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა** | **59,1** | **48,3** | **0,0** | **48,3** | **0** | 0,0 | **0** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 59,1 | 48,3 | 0,0 | 48,3 | 0 | 0,0 | 0 |
| 03 05 | უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა(ა)იპ ,,მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო'') | 0 | 67,9 | 0,0 | 67,9 | 177,87 | 0,0 | 177,87 |
| | ხარჯები | 59,1 | 67,9 | 0,0 | 67,9 | 177,87 | 0,0 | 177,87 |
| 04 00 | განათლება | 2615,99 | 2627 | 101,7 | 2525.3 | 2893 | 0,0 | 2893 |
| | ხარჯები | 1950,78 | 2360,4 | 0 | 2360,4 | 2893 | 0,0 | 2893 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 665,21 | 266,6 | 101,7 | 164,9 | 0,0 | 0,0 | 0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 2000,66 | 2525.3 | 0,0 | 2525.3 | 2893 | 0,0 | 2893 |
| | ხარჯები | 1950,78 | 2360,4 | 0,0 | 2360,4 | 2893 | 0,0 | 2893 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 49,88 | 164,9 | 0,0 | 164,9 | 0 | 0,0 | 0 |
| 04 01 01 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 2000,6 | 2525.30 | 0,0 | 2525.30 | 2893 | 0,0 | 2893 |
| | ხარჯები | 1950,78 | 2360,4 | 0,0 | 2360,4 | 2893 | 0,0 | 2893 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 49,88 | 164,9 | 0,0 | 164,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 01 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 02 | საჯარო სკოლების ხელშეწყობა | 615,33 | 101,7 | 101,7 | 0 | 0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 615,33 | 101,7 | 101,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2305,92 | 4105,9 | 126,9 | 3979 | 2562,08 | 0,0 | 2562,08 |
| | ხარჯები | 2042,72 | 2948,3 | 126,9 | 2821,4 | 2562,08 | 0,0 | 2562,08 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 263,2 | 1157,6 | 0,0 | 1157,6 | 0 | 0,0 | 0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 923,44 | 1495,2 | 0,0 | 1495,2 | 1057 | 0,0 | 1057 |
| | ხარჯები | 910,94 | 1416,2 | 0,0 | 1416,2 | 957 | 0,0 | 957 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12,5 | 79 | 0,0 | 79 | 100 | 0,0 | 100 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 72,79 | 290.0 | 0,0 | 290.0 | 290 | 0,0 | 290 |
| | ხარჯები | 72,79 | 290.0 | 0,0 | 290.0 | | 0,0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლების ხელშეწობა | 429,69 | 600.0 | 0,0 | 600.0 | 667 | 0,0 | 667 |
| | ხარჯები | 460.0 | 600.0 | 0,0 | 600.0 | 667 | 0,0 | 667 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენელობა და რეაბილიტაცია | 420,96 | 605,2 | 0 | 605,2 | 100 | 0,0 | 100 |
| | ხარჯები | 408,46 | 526,2 | 0 | 526,2 | 0 | 0,0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12,5 | 79 | 0 | 79 | 100 | 0,0 | 100 |
| 05 01 03 01 | სპორტული კომპლექსის და სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია მშენებლობა | 0.0 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 65 | 0,0 | 65 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 03 02 | ქალაქ ხაშურში სტადიონის მშენებლობა | 420,96 | 540,2 | 0,0 | 540,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 408,46 | 526,2 | 0,0 | 526,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12,5 | 14 | 0,0 | 14 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1278,64 | 2445,38 | 0,0 | 2445,38 | 1466,58 | 0,0 | 1466,58 |
| | ხარჯები | 1027,95 | 1366,75 | 0,0 | 1366,75 | 1466,58 | 0,0 | 1466,58 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 250,7 | 1078,63 | 0,0 | 1078,63 | 0 | 0,0 | 0 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 35,81 | 125.5 | 0,0 | 125.5 | 155,5 | 0,0 | 155,5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 35,81 | 125.5 | 0,0 | 125.5 | 155,5 | 0,0 | 155,5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0,0 | 0 | 0,0 | 0,0 | 0 |
| 05 02 02 | **სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა** | **320,99** | **377,26** | **0,0** | **377,26** | **327,0** | 0,0 | **327** |
| | ხარჯები | 221,75 | 298,7 | 0,0 | 298,7 | 327,0 | 0,0 | 327 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა · 0 · 0 · 0 · 0 · 14 3 0 0.0 | 99,24 | 78,5 | | 78,5 | | | 0,0 |
| 05 02 02 01 | **მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია** | **99,24** | **77.26** | **0,0** | **77.26** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა · 0 · 0 · 0 · 0 · ## | 99,24 | 77.26 | | 77.26 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 02 02 | **სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა სამუსიკო სკოლების გაერთიანება** | **221,75** | **300.0** | **0,0** | **300.0** | **327,0** | 0,0 | **327,0** |
| | ხარჯები | 221,75 | 298,7 | 0,0 | 298,7 | 327 | 0,0 | 327 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 1,3 | 0,0 | 1,3 | 0 | 0,0 | 0 |
| 05 02 03 | **ბიბლიოთეკების ხელშეწყობა** | **157,37** | **219,8** | **0,0** | **219,8** | **192,5** | **0,0** | **192,5** |
| | ხარჯები | 150,88 | 172,3 | 0,0 | 172,3 | 192,5 | 0,0 | 192,5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6,48 | 47,5 | 0,0 | 47,5 | 0 | 0,0 | 0 |
| 05 02 04 | **კულტურის ცენტრების ხელშეწყობა** | **421,2** | **1192,46** | **0,0** | **1192,46** | **358,4** | 0,0 | **358,4** |
| | ხარჯები | 301,01 | 331,9 | 0,0 | 331,9 | 358,4 | 0,0 | 358,4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 120,19 | 860,5 | 0,0 | 860,5 | 0 | **0,0** | 0,0 |
| 05 02 04 01 | **კულტურის ცენტრების რეაბილიტაცია** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 04 02 | **კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა** | **310,79** | **330.0** | **0,0** | **330.0** | **358,4** | 0,0 | **358,4** |
| | ხარჯები | 301,01 | 327 | 0,0 | 327 | 358,4 | 0,0 | 358,4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,79 | 3 | 0.0 | 3 | 0,0 | **0,0** | 0,0 |
| 05 02 04 03 | **საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია** | **46,69** | **862,46** | **0,0** | **862,46** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | ხარჯები | | 4,83 | | 4,83 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 46,69 | 857,63 | 0,0 | 857,63 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 04 04 | **ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა** | **63,72** | **0.0** | **0,0** | **0.0** | **0,0** | 0,0 | **0,0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 63,72 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 05 | **მუზეუმების ხელშეწყობა** | **204,09** | **297,56** | **0,0** | **297,56** | **257,2** | 0,0 | **257,2** |
| | ხარჯები | 179,31 | 207,3 | 0,0 | 207,3 | 257,2 | 0,0 | 257,2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 24,78 | 90,2 | 0,0 | 90,2 | 0 | 0,0 | 0 |
| 05 02 06 | **საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა** | **42,3** | **42,8** | **0,0** | **42,8** | **45,98** | 0,0 | **45,98** |
| | ხარჯები | 42,3 | 41,05 | 0,0 | 41,05 | 45,98 | 0,0 | 45,98 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 1,75 | 0,0 | 1,75 | 0 | 0,0 | 0 |
| 05 02 07 | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **100** | **190.0** | **0,0** | **190.0** | **130** | 0,0 | **130** |
| | ხარჯები | 100 | 190.0 | 0,0 | 190.0 | 130 | 0,0 | 130 |
| 05 03 | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **103,84** | **165,4** | **126,9** | **38.5** | **38,5** | 0,0 | **38,5** |
| | ხარჯები | 103,84 | 165,4 | 126,9 | 38.5 | 38,5 | 0,0 | 38,5 |
| 06 00 | **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1257,17** | **1228,3** | **0,0** | **1228,3** | **1125** | 0,0 | **1125** |
| | ხარჯები | 1244,06 | 1228,3 | 0,0 | 1228,3 | 1125 | 0,0 | 1125 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 13,11 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0 | 0,0 | 0,0 |
| 06 01 | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **102,7** | **107.9** | **0,0** | **107.9** | **103** | 0,0 | **103,0** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 101,41 | 107.9 | 0,0 | 107.9 | 103 | 0,0 | 103,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,29 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **06 02** | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **1154,47** | **1120,4** | **0,0** | **1120,4** | **1022,0** | 0,0 | **1022,0** |
| | ხარჯები | 1142,65 | 1120,4 | 0,0 | 1120,4 | 1022,0 | 0,0 | 1022,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11,82 | 0 | 0,0 | 0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **06 02 01** | **ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა** | **0,5** | **2.0** | **0,0** | **2.0** | **2,0** | 0,0 | **2,0** |
| | ხარჯები | 0,5 | 2.0 | 0,0 | 2.0 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| **06 02 02** | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა** | **34,08** | **38,2** | **0** | **38,2** | **38,2** | 0,0 | **38,2** |
| | ხარჯები | 34,08 | 38,2 | 0 | 38,2 | 38,2 | 0,0 | 38,2 |
| **06 02 03** | **სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა უფასო მომსახურების პროგრამა** | **20,38** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | 0,0 | **0** |
| | ხარჯები | 20,38 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0 |
| **06 02 04** | **მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები** | **12,16** | **30,0** | **0,0** | **30,0** | **0,0** | 0,0 | **0** |
| | ხარჯები | 0,34 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 0,0 | 0,0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11,82 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0 |
| **06 02 05** | **ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები. ომში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები** | **15,9** | **20,6** | **0,0** | **20,6** | **20,6** | 0,0 | **20,6** |
| | ხარჯები | 15,9 | 20,6 | 0,0 | 20,6 | 20,6 | 0,0 | 20,6 |
| **06 02 06** | **საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სიცოალური დაცვის ღონისძიებები** | **8,63** | **30.0** | **0,0** | **30.0** | **30,0** | 0,0 | **30,0** |
| | ხარჯები | 8,63 | 30.0 | 0,0 | 30.0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0,0 | 0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **06 02 07** | **სარიტუალო მომსახურება** | **4,5** | **5.0** | **0,0** | **5.0** | **5,0** | 0,0 | **5,0** |
| | ხარჯები | 4,5 | 5.0 | 0,0 | 5.0 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| **06 02 08** | **უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა** | **121,28** | **160,09** | **0,0** | **160,09** | **150,0** | 0,0 | **150,0** |
| | ხარჯები | 137.4 | 160,09 | 0,0 | 160,09 | 150,0 | 0,0 | 150,0 |
| **06 02 09** | **მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა** | **10,53** | **24.0** | **0,0** | **24.0** | **24,0** | 0,0 | **24,0** |
| | ხარჯები | 10,53 | 24.0 | 0,0 | 24.0 | 24 | 0,0 | 24,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **06 02 10** | **მოქალაქეთა სოციალური დახმარება** | **926,51** | **810,56** | **0,0** | **810,5** | **752,2** | **0,0** | **752,2** |
| | ხარჯები | 926,51 | 810,5 | 0,0 | 810,5 | 752,2 | 0,0 | 752,2 |

თავი IV.

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 18. ასიგნებების დაფინანსება

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით დაევალოს საბიუჯეტო სამსახურს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების გადასახდელების დაფინანსება განახორციელოს ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესაბამისად.

მუხლი 19. ასიგნებების გადანაწილება

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 20. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. დავალიანებების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდები დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2022 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 22. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლების ნუსხა

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 23. ხარჯთაღრიცხვების წარდგენა

დაევალოთ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ბიუჯეტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში უზრუნველყონ საფინანსო გეგმების, ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვების წარდგენა საბიუჯეტო სამსახურში.

მუხლი 24. კვარტალური განწერა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის- 82-ე მუხლის თანახმად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

# პროექტი, რომელმაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ცამეტი სოფელი მოიცვა

ჩვენი გაზეთი, მეოთხე წელია, იმ ურთიერთობის შესახებ უყვება მკითხველს, რომელიც "ელკანას", bp და ნავთობსადენის გასწვრივ დასახლებულ თემებს შორის არსებობს. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა" ახორციელებს პროექტს "ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი - 3", რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ და ხორციელდება დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსა) მარშრუტის გასწვრივ მიმდებარე სოფლებში. პროექტი მიზნად ისახავს ნავთობსადენის გასწვრივ დასახლებულ თემებსა და bp-ის შორის ჰარმონიული ურთიერთობის გაძლიერებას, ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებას,



ჯუმბერ ოდიკაძე

ეკონომიკურ წინსვლასა და მცირე ბიზნესის განვითარებას.

პროექტი ხორციელდება გარდაბნის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის და საჩხერის მუნიციპალიტეტებში. ხაშურის მუნიციპალიტეტში პროექტის საქმიანობა 13 სამიზნე სოფელში ხორციელდება: ვაყა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ნაცარგორა, დუმაცხოვი, ახალუბანი, ქინძათი, მცხეთიჯვარი, ქვემო ბროლოსანი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ჩორჩანა. პროექტი ყოველწლიურია და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ პირს შეუძლია, რომელსაც აქვს კარგი ბიზნესიდეა და მის განსახორციელებლად გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება.

წელს, პროექტის დასრულების ბოლო წელია. ბენეფიციარების საქმიანობის გაცნობის, მათთან საუბრის შემდეგ, დავრწმუნდით, რომ პროექტი წარმატებულად მიმდინარეობდა, და რომ მან, ნამდვილად მოუტანა სიკეთე მოსახლეობას.

**გიორგი თვალიაშვილი, პროექტის მენეჯერი,** ერთგვარ შეჯამებას უკეთებს პროექტს და იმ სირთულეებზე და გამოწვევებზეც საუბრობს, რომელიც განხორციელების ეტაპზე იყო:

–2020-2021 წლებში, ფაქტობრივად, ფორსმაჟორულ პირობებში მოგვიწია მუშაობა, პროექტის მიმდინარეობისას, ყველაზე დიდი გამოწვევა კოვიდპანდემია იყო, მაგრამ ეს გამოწვევაც, პროექტის თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, - bp ის რეკომენდაციების და „ელკანას" სწორი მენეჯმენტის გათვალისწინებით, ადვილად დავძლიეთ. შედეგად, პროექტის ფარგლებში, სულ დავაფინანსეთ 194 მეწარმე, რომლებმაც არამარტო დაფინანსება მოიპოვეს საკუთარი ბიზნესის განსახორციელებლად, არამედ არაერთ ტრენინგს დაესწრნენ, მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ტურებსა და გამოცდილების გაზიარების შეხვედრებში. აღნიშნული ვიზიტები და სწავლება კი დაეხმარებათ მეწარმეებს როგორც პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ბიზნესის განვითარებაში, ასევე სხვა საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. პანდემიის პერიოდში, მაქსიმალურად გადავეწყეთ დისტანციურ კომუნიკაციაზე და არაერთი ტრენინგი დისტანციურად ჩავატარეთ.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროექტის ბენეფიციარების დიდი ნაწილს დღეს უკვე შეუძლია საკუთარი გამოცდილების გაზიარება თემის სხვა მაცხოვრებლებისთვის. არაერთისგან გვსმენია, რომ ეხმარებიან ფინანსური დეკლარაციების შევსებაში, ბიუჯეტის დაგეგმვის განსაზღვრაში თუ სხვა საქმიანობაში, რაც ტრენინგებიდან და სხვა სწავლებიდან მიიღეს. ჩემი აზრით, სწორედ ამ კულტურის და დისციპლინის ჩამოყალიბებაა ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენმა პროექტმა, დიდი სიკეთე მოუტანა მოსახლეობას. სწორედ, ესაა მისი მთავარი დანიშნულებაც.

ასეთივე განწყობით არიან ის ბენეფიციარებიც, რომლებმაც საკუთარ თავზე და ოჯახზე გამოცადეს ამ პროექტისგან მიღებული სარგებელი.

72 წლის **ჯუმბერ ოდიკაძე**, სოფელ კლდისწყაროში ცხოვრობს. მიუხედავად იმის, რომ გარკვეული ტექნიკური ბაზა უკვე ჰქონდა, სერვისების გასაფართოებლად, მაინც მიიღო მონაწილეობა. ბატონი ჯუმბერი, ასე იხსენებს bp-თან თანამშრომლობას:

–ჩვენ სოფელში, ქალბატონი ნინო მძინარაშვილი, პერიოდულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს. მეც, როგორც ყველამ, bp-ის ამ პროექტის შესახებ, მისგან გავიგე. მანამდე სოფლად აღარ ვცხოვრობდი, აქ გადმოსვლის შემდეგ, გადავწყვიტე, ჩემი საქმე აქ გადმომეტანა და მემუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად თითქმის გამართული ვიყავი, აღმოჩნდა, რომ მაინც ბევრი რამე მჭირდებოდა კიდევ, რაც ჩემ საქმეს მრავალფეროვანს გახდიდა და შრომასაც შემიმსუბუქებდა. რკინასთან ურთიერთობა ჩემი საქმეა. ხარატი ვარ. ჩემი სოფლად დაბრუნების მიზეზი მშობლების უყურადღებოდ დარჩენილი სახლი იყო, მეუღლე გარდამეცვალა და ჩემ შვილთან ერთად დავბრუნდი. გენერატორი მჭირდებოდა, რომლითაც ადგილზე მოვემსახურებოდი გლეხებს, როცა ტექნიკა დაუზიანდებოდათ ტყეში ან მინდორში. ამისთვის მათ ხაშურში ჩასვლა უწევდათ. ეს იყო მიზეზი, რის გამოც, გადავწყვიტე, ამ პროექტში მონაწილეობა მიმეღო. ბიზნესიდეის წარდგენიდან რამდენიმე ეტაპი გავიარე - ეს იყო ტრენინგები, სადაც ვისწავლეთ, როგორ დაგვეწერა პროექტი, როგორ გვეწარმოებინა საკუთარი ბიზნესსაქმიანობა. ეს ჩემი მეორე მონაწილეობაა ამ პროექტში, პირველად არ გამიმართლა, მეორედ დამაფინანსეს. მოვიდნენ, შემამოწმეს, დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ვმუშაობდი. ესაა სახარატო, ვაკეთებ ნაწილებს, ვჩარხავ, ვუკეთებ დიაგნოსტიკას დაზიანებულ ტექნიკას. მეორე წელია ვმუშაობ, შეივსო ჩემი ტექნიკა და საშუალება მომცა, დაახლოებით 20 სოფელს მოვმსახურებოდი. სამუშაო სულ მაქვს, ყოველდღიური დაკვეთებია, ვერც ავუდივარ საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემი შვილი ვმუშაობთ ერთად. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ პროექტის, თუ მომეცემა შესაძლებლობა, კიდევ სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას. ვისურვებდი, ბევრ ადამიანს მიეღო მონაწილეობა და თავის თავზე გამოეცადა ის სიკეთეები, რომელიც მოსახლეობისთვის ამ პროექტს მოაქვს. რადგან დღეს პროფ. სასწავლებლები ძალიან ცოტაა, ან კვალიფიციურ ტექნიკურ განათლებას ვერ იძლევა, სკოლის დირექტორს შევთავაზე, დაინტერესებულ მოსწავლეებს, შევასწავლო ხარატობა, იმისთვის, რომ სოფელი უფრო ძლიერი იყოს და მოსახლეობა დამაგრდეს. ჩემი აზრით, ამ ინიციატივაშიც, bp -ის წილი დიდია, რომ არა, ჩემი ტექნიკური გადაიარაღება, ამას ვერ შევძლებდი, რისთვისაც, კიდევ ერთი მადლობა მადლიერი ბენეფიციარისგან.

პროექტის ერთ-ერთი გრანტიორი 41 წლის **თეა ნესუაშვილი** სოფელ კლდისწყაროში ცხოვრობს. ინფორმაცია კონკურსის შესახებ მეუღლისგან შეიტყო, მიუხედავად პანდემიის მდგომარეობისა, მაინც მიიღო პროექტში ჩართვის გადაწყვეტილება.

– გამოცდილება უკვე არსებობდა ჩემს ოჯახში, ჩემმა მეუღლემ წლების წინ მიიღო დაფინანსება, ცხვრები შევიძინეთ. ვიცოდი, რომ რეალურად მუშაობდა პროექტი და თუ კარგი ბიზნესიდეა მექნებოდა, დაფინანსების შანსი მქონდა. სიმინდის დასაფშვნელი დანადგარი ჩვენს სოფელში არ იყო, რაც ძალიან გვირთულებდა საქმეს, სხვა სოფელში



ირმა მარგველაშვილი

გვიწევდა წასვლა. მოვითხოვე, წყლის პომპა, ხელის ტრაქტორი და სიმინდის დასაფშვნელი. მიუხედავად იმის, რომ რთული ეპიდემიური სიტუაცია იყო, ყველა წესის და რეგულაციის დაცვით გავიარეთ ტრენინგები გომის ტერიტორიული ორგანოს ცენტრში. ამის შემდეგ, დავიწყეთ აქტიური მუშაობა. დაახლოებით ექვს სოფელს ვემსახურებით ამ ეტაპზე. სიმინდის დასაფშვნელად უფრო ხშირად გვაკითხავენ, დანარჩენი უფრო სეზონურად მუშაობს. კიდევ რომ მომეცეს შესა-

(დასასრული 24-ე გვერდზე)

# პროექტი, რომელმაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ცამეტი სოფელი მოიცვა

(დასასრული)

ძლებლობა, წისქვილს, ან პრესის საფქვავს მოვითხოვდი. ძალიან კარგი შესაძლებლობაა სოფლის მოსახლეობისთვის, სოფელში მაცხოვრებელი ქალებისთვის. მეზობლებიც ძალიან დაინტერესდნენ, როცა ხედავენ, რომ შედეგი სახეზეა, ინტერესი უფრო მეტია. მახსოვს, თავდაპირველად, როგორ არწმუნებდა მოსახლეობას პროექტის წარმომადგენელი, რომ



ინგა გოგოლაძე

ჩართულიყვნენ პროექტში და რამდენად რთული იყო ეს, თუმცა, ჩვენნაირი ადამიანების მაგალითმა, სარწმუნო გახადა და დაინტერესებაც მეტი წამოვიდა. ხალხში იმედი გაჩნდა, დაფინანსების გარდა, მივიღეთ სხვა ცოდნა და გამოცდილება, აღვრიცხავ გასავალ-შემოსავალს, ვფიქრობთ, როგორ დავგეგმოთ და განვავითაროთ სხვა საქმეც, რომლის წამოწყებასაც ვაპირებთ სამომავლოდ და ეს სწორედ ამ პროექტის დამსახურებაა.

**ქვემო ბროლოსნის მკვიდრი, 59 წლის ირმა მარგველაშვილიც პროექტის მიერ არის დაფინანსებული:**

– bp-ის ამ პროექტის შესახებ, საინფორმაციო შეხვედრებიდან გავიგე. რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ არ მიმართლებდა. ახლა ვფიქრობ, რომ არასწორი ბიზნესიდეა მქონდა, ყავის საფქვავი მოვითხოვე, მაგრამ საბოლოო ჯამში არ დავფინანსდი. შარშან ხელის ტრაქტორის შეძენა გადავწყვიტე, ამ დროს გამოცხადდა ეს პროექტი, დავწერე ბიზნესიდეა და გამიმართლა. ჩემი იდეა მოიწონეს და ტრენინგების შემდეგ, როცა ბიზნეს-გეგმა წარვადგინე და გასაუბრებაშიც მივიღე მონაწილეობა, გავიმარჯვე და დავფინანსდი ხელის ტრაქტორის შეძენაზე. ამ ტრაქტორის საშუალებით, მცირე ზომის ნაკვეთების დამუშავება ხდება, სადაც დიდი ტრაქტორი ვერ შედის, ჩვენი ტრაქტორი ძალიან მოსახერხებელია. ვხნავთ, კულტივაციას ვაკეთებთ, კარტოფილს ვთესავთ, ვთოხნით, შევიძინე სათიბი, თითქმის ყველა ოპერაციას ვასრულებთ. ძალიან მოსახერხებელია, როგორც ჩვენთვის, ისე მეზობლებისთვისაც. მიუხედავად იმის, რომ სასოფლო სამუშაოები სეზონურია, მაინც ძალიან კმაყოფილები ვართ. ყოველთვიურმა შემოსავალმა მომცა სტიმული და დიდი სურვილი, რომ სამომავლოდ გავაფართოო ტექნიკური ბაზა და უფრო დიდი ტრაქტორი შევიძინო, თავისი აგრეგატებით. ძალიან მიხარია, რომ ეს პროექტი, ქალებს საშუალებას გვაძლევს, საკუთარი საქმე გვქონდეს და საზოგადოებაში ჩვენი როლი გაიზარდოს. გარდა იმისა, რომ გამიჩნდა ფინანსური შემოსავალი, შემიმსუბუქდა შრომა, ტრენინგების მეშვეობით ვისწავლე, როგორ ვმართო ჩემი ბიზნესი, როგორ ვაწარმოო ხარჯთაღრიცხვა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მინდა, გაგრძელდეს პროექტი და სხვამაც ნახოს ის სარგებელი, რომელიც ბპ-ის მეშვეობით, ჩემმა ოჯახმა მიიღო.

**ინგა გოგოლაძე, 51 წლის, სოფელ ქინძათიდან გვიყვება:**

–წისქვილი მაქვს, ორნაირი, ტაროიანსაც ვფქვავ და მარცვალსაც, ასევე სიმინდის საფშვნელიც, რომელიც bp-ის პროექტის ფარგლებში მივიღე. მანამდე მცირე ზომის წისქვილი მქონდა, რომელსაც მხოლოდ ოჯახისთვის მოვიხმარდით, გადავწყვიტეთ, უფრო დიდი სიმძლავრის გვეყიდა, რადგან ჩვენს სოფელში სხვა სხვა საშუალება არ იყო, ძალიან ვწვალობდით, სხვა სოფელში მიგვქონდა დასაფქვავად, რაც დამატებით დროსთან, შრომასთან იყო დაკავშირებული. რადგან ჩემს ქმარს თავისი საქმე აქვს, გადავწყვიტე, მე მიმეღო მონაწილეობა პროექტში. გავიარეთ სხვადასხვა პროცედურები, იყო შეხვედრები, ჩატარდა მონიტორინგი, შემამოწმეს და ამის შემდეგ დამაფინანსეს. როგორც ვთქვი, უკვე მქონდა წისქვილი, ჩემი ოჯახის დახმარებით, გადავიტანე სხვა ადგილას, დავდგით შენობა, თანაინვესტირებით ავაშენე მცირე ზომის შენობა და დამატებითი მომსახურება შევთავაზე მომხმარებლებს. ამ საქმეში, მთელი ოჯახი ვართ ჩართული, ვისაც გვცალია, ის ვაკეთებთ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სოფლებშიცაა უკვე წისქვილები, მაინც გამართლებულად ვთვლი ჩემ საქმეს, ვემსახურები მეზობლებს და საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებებსაც ვაკმაყოფილებ. ძალიან ვნანობ, რომ აქამდე არ ჩავერთე და ამხელა შესაძლებლობა ვუშვებდი ხელიდან., მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ რომ მივიღე პროექტისგან სარგებელი. მადლობელი ვარ ამ პროექტის, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს, ასეთი შესაძლებლობა მოგვცა, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.

**ლიანა ნოზაძე, 58 წლის, სოფელი ქინძათი:**

– პროექტისგან საკერავი მანქანით დავფინანსდი. ბავშვობიდან ვკერავდი, მქონდა გამოცდილება და გადავწყვიტე, პატარა სამკერვალო გამეკეთებინა. “ჯაკის” ფირმის საკერავი მანქანა შევიძინე, რომელიც სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებს, მაქვს ოვერლოკის მანქანა. დასაფინანსებელი თანხის გათვალისწინებით, შევარჩიე საკერავი მანქანა და რადგან არ ვიცოდი, როგორ მემუშავა, იქვე გადამამზადეს და შევუდექი მუშაობას. ამ სოფელში, მხოლოდ მე ვარ ამ საქმით დაკავებული. ვკერავ თეთრეულს, ფარდებს, ვმუშაობ გადაკეთებებზე. პანდემიის დაწყების დროს, როდესაც მთელს ქვეყანაში პირბადეების დეფიციტი შეიქმნა, მე პირბადეები შევკერე, რომლის დიდი ნაწილი უფასოდაც დავარიგე. ცოტა ხნის წინ, თეთრეული შევკერე და გავატანე გასაყიდად, შედარებით შეღავათიან ფასად. შეკვეთებისთვის სხვა სოფლებიდანაც მოდიან. ყველაფერს საკუთარი ხელით ვაკეთებ, საოჯახო მეურნეობასაც ვუვლი და შეკვეთებსაც მე ვასრულებ. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ პროექტის, პორექტის წარმომადგენლების, ვისთანაც სისტემატური ურთიერთობა გვაქვს. ამ პროექტმა ძალიან დიდი ურთიერთობებიც მომიტანა, ტრენინგებზე ბევრი ადამიანები გავიცანით, რომელბთანაც გვაქვს კომუნიკაცია, ერთმანეთს ვუცვლით გამოცდილებებს და შეძლებისდაგვარად, ვეხმარებით კიდეც.



ლიანა ნოზაძე

ესაა რეალური ისტორიებია ადამიანების, რომლებიც განიცდიან მადლიერებას იმ შესაძლებლობისთვის, რომელიც bp-მ მისცა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ოჯახის ეკონომიკური გაძლიერებით, აძლიერებენ ქვეყანასაც. იმედი აქვთ, რომ მომავალში იმ ბიზნესიდეების განხორციელების შესაძლებლობაც მიეცემათ, რომელიც პროექტში მონაწილეობის შემდეგ გაუჩნდათ.

თამარ ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.